პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

ორშაბათი, 21 დეკემბერი, 1936 წ. № 294 (4798)

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ განათლების უფლება.

ეს უფლება უზრუნველყოფილია საყოველთაო-სავალდებულო დაწყებითი განათლებით, უფასო განათლებით, — უმაღლესი განათლების ჩათვლით, — უმაღლეს სკოლაში მოსწავლეთა უდიდესი უმრავლესობისათვის სახელმწიფო სტიპენდიების სისტემით, სკოლებში დედაენაზე სწავლებით, ქარხნებში, საბჭოთა მეურნეობებში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და კოლმეურნეობებში მშრომელთა უფასო საწარმოო, ტექნიკური და აგრონომიული სწავლების ორგანიზაციით.

სსრ კავშირის კონსტიტუციიდან

სოციალიზმი — ეს აღრიცხვაა!

იზრდებიან, მტკიცდებიან და მდიდრდებიან ორდენოსანი საქართველოს კოლმეურნეობები. სტალინური მზის ცხოველი სხივებით მოქარგულ ველ-მინდვრებზე საქართველოს 4.417 კოლმეურნეობა წარმატებით ჰქმნის ახალ ცხოვრებას, სოციალისტურ დოვლათს, აღწევს პროდუქტების სიუხვეს.

განუწყვეტლივ მატულობს მილიონერ კოლმეურნეობათა რიცხვი, დღითი-დღე იზრდება შეძლებულ კოლმეურნეთა არმია, ათასობით მრავლდებიან სოციალისტური სასოფლო მეურნეობის ენთუზიასტები, სახელოვანი ოსტატები, სტახანოველები — საკოლმეურნეო წარმოების მოწინავე სახელოვანი ადამიანები.

ცხოვრება გახდა ბედნიერი, საამური, მიმზიდველი. სოციალიზმმა გაიმარჯვა საბოლოოდ და იგი შეიჭრა მშრომელთა ყოფა-ცხოვრებაში.

მშრომელი კაცობრიობის ბრძენი ბელადის, დიდი სტალინის მეთაურობით გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა განუხრელად მიდის სრული კომუნიზმისაკენ. განა არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლოს ჩვენი წინსვლელობის შეჩერება? არა, არ არსებობს!

საკოლმეურნეო მშენებლობის განმტკიცებისა და აღმავლობის საქმისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური აღრიცხვის კარგად დაყენებას. საკოლმეურნეო წარმოება სოციალისტური ტიპის წარმოებაა. სოციალიზმი — ეს აღრიცხვაა, ამბობდა დიდი ლენინი. სწორ აღრიცხვას, საკოლმეურნეო ქონების ინვენტარიზაციას, წლიური ანგარიშების სწორად და თავის დროზე შედგენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობისათვის. ამის გარეშე კოლექტიური მეურნეობა წინ ვერ წავა, შრომა-დღეების პრინციპი დაირღვევა, განვლილი წლის გამოცდილების გამოყენება შეუძლებელი გახდება. ამიტომაც არის, რომ პარტია კოლმეურნეობებში აღრიცხვას, წლიური ანგარიშების შედგენას და ინვენტარიზაციის სწორად შესრულებას დიდ მნიშვნელობას აძლევს.

უდავოა, რომ მხოლოდ წლიური ანგარიშის საფუძველზე შეიძლება კოლმეურნეობაში მოსავლისა და შემოსავლის საბოლოო განაწილება, — კოლმეურნეთა საბოლოო დაკმაყოფილება მათ მიერ გამომუშავებული შრომადღეების მიხედვით, წლიური ანგარიშის შემოწმებით მომდევნო მეურნეობის დაგეგმვა, ის დაედება საფუძვლად საშემოსავლო გადასახადის შეწერას, სახელმწიფო სახალხო მეურნეობის დაგეგმვას. ერთი სიტყვით, კოლმეურნეობაში წლიური ანგარიშის ზუსტად შედგენას დიდი სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

მაგრამ წლიური ანგარიშის წესიერად შესრულება ინვენტარიზაციის სწორად შესრულებაზეა დამოკიდებული. წლიური ანგარიშების შედგენამდე (იწყება 1937 წლის 1 იანვრიდან) კოლმეურნეობებში ინვენტარიზაციის საშუალებით წინასწარ მოწმდება მთელი ქონება, ფულადი სახსრები და ურთიერთსწორების ანგარიშები, ირკვევა ანგარიშების წარმოების სისწორე, მოკლედ — ინვენტარიზაცია ნათელჰყოფს კოლმეურნეობის ფაქტიურ მდგომარეობას წლის ბოლოსათვის და სხვა მხარეებთან ერთად გვიჩვენებს, თუ როგორ გატარდა კოლმეურნეებისათვის ავანსების გაცემა და ანგარიშის გასწორება.

საკოლმეურნეო ქონების ინვენტარიზაციით კოლმეურნეობებში უნდა გამოირკვეს როგორც სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების, ისე სოციალისტური ქონების დაცვის შესახებ საკავშირო ცაკის და სახკომსაბჭოს 1932 წლის 7 აგვისტოს დადგენილების შესრულება, გამომჟღავნდეს გაუპიროვნების, სოციალისტური ქონებისადმი უყაირათო მოპყრობის, ქურდობისა და მავნებლობის ფაქტები, დაისახოს საკოლმეურნეო ქონების უკეთ გამოყენებისა და შენახვის, დავალიანების ლიკვიდაციის, სამეურნეო და საფინანსო მდგომარეობის განმტკიცების საშუალებები.

ინვენტარიზაციამ უნდა დაგვანახვოს, თუ როგორაა კოლმეურნეობაში საზოგადოებრივი, სოციალისტური საკუთრების დაცვის საქმე დაყენებული.

როგორც წლიური ანგარიშის შედგენა, ისე ინვენტარიზაცია უბრალო ტექნიკური საქმე როდია. ეს სერიოზული ამოცანაა, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. სამწუხაროდ, დღემდე მოიპოვებიან „ხელმძღვანელები", რომლებსაც ეს სათანადოთ ვერ შეუგნიათ. საკავშირო სახკომსაბჭოს დადგენილებით კოლმეურნეობებში ანგარიშწორების პირველი რიგის ფორმებით უნდა უზრუნველეყოთ 15 ნოემბრამდე, ხოლო ინვენტარიზაცია დაეწყოთ 1 დეკემბრიდან. მიწსახკომმა კი რაიონების წარმომადგენელთა თათბირი მხოლოდ 3 დეკემბერს მოიწვია. ამ თათბირს, მაგალითად, საგარეჯოს არც მტს-ის, არც მიწგანის წარმომადგენელი არ დასწრებია. მათ დროზე მიწსახკომიდან ინვენტარიზაციის ფორმებიც არ წაუღიათ.

ანგარიშწარმოების ფორმები თავის დროზე არ წაუღიათ აგრეთვე აგარის, კასპის, ყვარლის, მცხეთის, თბილისის, ბორჩალოსა და თიანეთის მტს-ებს, მათ საჭირო რაოდენობის თანხებიც არ გადაურიცხავთ ამ ფორმების შესაძენად. ამ საქმეში ასევე უპასუხისმგებლობას იჩენენ აგრეთვე ადიგენის, კასპის, აღბულაღის, თიანეთის, ბაღდათის, ჩხოროწყუს, ფოთის, ბოგდანოვკის, დუშეთის, წალკის, ბორჩალოს, ბაშკიჩეთის, თბილისის, ონის, ამბროლაურისა და წალენჯიხის მიწგანები, აგრეთვე აჭარისა და სამხრეთ ოსეთის მიწსახკომები.

რაზე ლაპარაკობს ეს ფაქტი, თუ არა იმაზე, რომ კოლმეურნეობებში წლიური ანგარიშებისა და ინვენტარიზაციის სერიოზული მნიშვნელობის პოლიტიკურ-სამეურნეო ამოცანას ბევრგან უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან.

მდგომარეობა დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს. პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანიზაციების მოვალეობაა მიიღონ გადამჭრელი ზომები ვადაზე და ფრიადზე შეასრულონ კოლმეურნეობებში ინვენტარიზაცია და წლიური ანგარიშების შედგენა.

მანდარინის დამზადების გეგმა შესრულებულია

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ტს — ამხ. **ლ. ბერიას.**

აჭარაში დამთავრდა მანდარინის დამზადება. დამზადებათა დაწესებული სახელმწიფო გეგმა 125 მილიონი ცალი მანდარინის რაოდენობით გადაჭარბებით შესრულებულია. სულ დამზადებულია 130 მილიონი ცალი — გეგმის 104 პროც.

მანდარინის გაგზავნის გეგმა აგრეთვე შესრულებულია მოკლე ვადაში — აჭარიდან უკვე გაგზავნილია მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, ხარკოვში, ბაქოში, თბილისსა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში 125 მილიონი ნაყოფი.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის V პლენუმზე თქვენ მიერ მოცემული მითითების შესასრულებლად, — რომ საქართველოს ხილის მომხმარებელი, საბჭოთა კავშირის რომელ კუთხეშიაც არ უნდა იმყოფებოდეს იგი, იცნობდეს და აფასებდეს ქართულ ხილს, ღებულობდეს მას ლამაზად, კულტურულად შეფუთულს, რაც უზრუნველყოფს ტრანსპორტირებას, — მანდარინები შეფუთულია უფრო კულტურულად და უკეთ, ვიდრე წინა წლებში.

გაჩაღებულია ლიმონისა და ფორთოხლის დამზადება.

აჭარის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, საბჭოთა მეურნეობების მუშებისა და მუშა-ქალების, კოლმეურნეებისა და კოლმეურნე ქალების და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების ყურადღება მიპყრობილია იმაზე, რომ ცხოვრებაში გაატარონ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ა. წ. 19 ნოემბრის დადგენილება „ციტრუსოვან ნარგავთა მდგომარეობისა და შემდგომი დარგვის წესის შესახებ (ბუდნების ზომა, მათი მოვლა და შენახვა)", განახორციელონ ყველა საჭირო ღონისძიებანი, რომელნიც უზრუნველყოფენ ციტრუსოვანი კულტურების ნაყოფთა მაღალ მოსავალს 1937 წელს — არა ნაკლებ 350 მილიონი ცალისა აჭარაში.

საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი
ა. გეურქოვი.

აჭარის ასს რესპუბლიკის ცაკის თავმჯდომარე
ზ. ლორთქიფანიძე.

ახალზეთოვან კულტურების დამზადება

ქუთაისის რაიონმა 15 დეკემბრისათვის შეასრულა ახალზეთოვან კულტურათა ყველა სახის დამზადების გეგმები. სახელმწიფოს ჩაბარდა 1.436 ცენტნერი საუკეთესო არახისი. აქედან: კონტრაქტაციის გეგმით — 900 ცენტნერი (100 პროც.), სათესლე სესხი დაბრუნებულია 372 ცენტნერი (100 პროც.), გეგმის ზევით შესყიდულია 164 ცენტნერი (102 პროც.).

ჩაბარდა სახელმწიფოს 38.580 ფუთი სოია. აქედან კონტრაქტაციის გეგმით — 31.980 ფუთი (100 პროც.) გეგმის ზევით შესყიდულია 6.600 ფუთი (100 პროც.). გეგმის ზევით სოიის შესყიდვა გრძელდება.

საქ. კ.პ.(ბ) ქუთაისის ქალაქკომის მდივანი თედო კორხაველი.

მდგომარეობა ესპანეთში

ესპანეთის ფრონტებზე

ლონდონი, 19 დეკემბერი (საქდესი). „ტაიმსის" ცნობით, გუშინ ბრძოლა სწარმოებდა უმთავრესად გვადალახარასთან, სადაც დამატებითი დამხმარე ძალები გაიგზავნა.

მეამბოხეთა მდგომარეობა ოვიედოში გაუარესდა, რის გამო ფაშისტურმა სარდლობამ გერმანელი „მოხალისეები" გაგზავნა გენერალ არანდას დასახმარებლად, რომლის ჯარების ამოცანას შეადგენს შეინარჩუნონ კავშირი ოვიედოსა და გალისიას შორის. რესპუბლიკელები ახლა კვლავ ისე ახლოს არიან ოვიედოსთან, რომ შესაძლებლობა აქვთ არტილერიის ცეცხლის ქვეშ იყოლიონ ქალაქი.

„დეილი ჰერალდი" სწერს, რომ მეამბოხეებმა კვლავ დიდი დამარცხება განიცადეს ესტეპონაზე (მალაგის სამხრეთ-დასავლეთით) კომბინირებული შეტევისას ხმელეთიდან, ზღვიდან და ჰაერიდან. მეამბოხენი იძულებული იყვნენ უკან დაეხიათ დიდი ზარალით. ერთი ფაშისტური თვითმფრინავი რესპუბლიკელებმა ჩამოაგდეს.

„დეილი ჰერალდის" ცნობით, რესპუბლიკელთა თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს სეუტას, კადიქსს, ალჟესირასს და ტეტუანს.

სევილიაში გადმოსხეს კიდევ 6.500 გერმანელი ჯარისკაცი

ლონდონი, 19 დეკემბერი (საქდესი). როგორც „დეილი ტელეგრაფის" ჰიბრალტარელი კორესპონდენტი ფილიპსი იუწყება, ამ რამდენიმე დღის წინათ სევილიაში კიდევ გადმოსხეს 6.500 გერმანელი ჯარისკაცი. კორესპონდენტის სიტყვით, გერმანიის ჯარების გადმოსხმა ესპანეთში საიდუმლოებითაა მოცული და გერმანელმა ჯარისკაცებმა, როცა ისინი გემებზე დასხეს, არ იცოდნენ, რომ ესპანეთში მიემგზავრებოდნენ. ყველა გერმანელი ატარებს ქუდს ესპანეთის მეამბოხეთა ნიშნით. ნიშნის ქვემოდ გერმანული არწივის ოქროს გამოხატულებაა. სევილიის ქუჩებში ხშირად დადიან საბარგო ავტომობილები, რომლებიც გამოტენილი ჯარისკაცებით არის საესე. საბარგო ავტომობილების რიცხვი ზოგიერთ კოლონაში 60-ს აღწევს.

თანდათანობით იზრდება ირლანდიელ ფაშისტთა რაზმის რიცხვობრივი შემადგენლობა. მათი ხელმძღვანელი გენერალი ო დეფი ხერესში ცხოვრობს. ირლანდიელთა ბაზა კასერესშია.

როგორც „ტაიმსის" ლისაბონელი კორესპონდენტი იუწყება, ლისაბონში გაიარა სულ 170 ირლანდიელმა ფაშისტმა, რომლებიც მეამბოხეთა დასახმარებლად მიემგზავრებიან.

ემზადებიან გერმანელი ჯარების ესპანეთში გასაგზავნად

ლონდონი, 18 დეკემბერი (საქდესი). „დეილი ტელეგრაფის" მიუნხენელი კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობებით, მალე ესპანეთში ფაშისტ მეამბოხეთა დასახმარებლად გაგზავნილი იქნება გერმანელ ფაშისტთა რაზმი დაახლოვებით 2.000 კაცის რაოდენობით. ამ რაზმში შევლენ ბავარიის სხვადასხვა ფაშისტურ ორგანიზაციათა წევრები.

კორესპონდენტის სიტყვით, ცნობამ იმის შესახებ, რომ გერმანელი ჯარისკაცები გაგზავნილი არიან ესპანეთში, მიაღწია მოსახლეობის ყურამდე. ხმების თანახმად „მიხაკისფერ სახლში" (გერმანელ ფაშისტთა შტაბ-კვარტირა მიუნხენში) მიდიან მშობლები იმის გასაგებად, თუ სად იმყოფებიან მათი შვილები, და დიდ აღშფოთებას გამოსთქვამენ.

კამათი დეპუტატთა პალატაში 1937 წლის ბიუჯეტის საკითხზე

პარიზი, 19 დეკემბერი (საქდესი). გუშინ ღამის სხდომაზე დეპუტატთა პალატამ დაამთავრა 1937 წლის ბიუჯეტის განხილვა.

489 ხმის უმრავლესობით 106-ის წინააღმდეგ ბიუჯეტი მიღებულია 4,5 მილიარდი ფრანკის დეფიციტით.

კამათში ოპოზიციის დეპუტატები მკაცრად ილაშქრებდნენ მთავრობის საბიუჯეტო კანონპროექტის წინააღმდეგ. პროექტს აკრიტიკებდა უკიდურესი მემარჯვენე რადიკალ-სოციალისტი პოტიუ, რომელმაც განაცხადა, რომ ფაქტიურად ბიუჯეტის დეფიციტი შეადგენს 20-30 მილიარდ ფრანკს.

კომუნისტი დეპუტატი ჟაკ დიუკლო მოითხოვდა საგადასახადო დაბეგვრის ნამდვილ დემოკრატიულ რეფორმას, რომელიც შესძლებდა დეფიციტის შევსებას და მუშათა, გლეხთა და მოსახლეობის საშუალო ფენების საგადასახადო ტვირთის შემსუბუქებას. დიუკლომ მიუთითა, რომ ქვეყნის თავდაცვის უზრუნველსაყოფად მთავრობამ უნდა მიმართოს არა სესხს, არამედ იმ შემოსავლის დაბეგვრას, რაც 1 მილიონ ფრანკს აღემატება.

ფინანსთა მინისტრმა ორიოლმა განაცხადა, რომ კაპიტალისტთა დაბეგვრა, რასაც დიუკლო მოითხოვს, ერთდროულად მოგვცემდა მხოლოდ 7 მილიარდ ფრანკს და ეს იმ დროს, როცა საჭიროა გაცილებით მეტი. ორიოლის სიტყვით, ახალი წლიდან მთავრობა შეუდგება საგადასახადო დაბეგვრის რადიკალური რეფორმის მომზადებას, რომლის დროსაც მხედველობაში იქნება მიღებული მშრომელი მასების ინტერესები.

გერმანიაში ჩაიყვანეს დაჭრილი გერმანელ „მოხალისეთა" პირველი პარტიები

ლონდონი, 19 დეკემბერი (საქდესი). „მანჩესტერ გარდიანი" სწერს, რომ გერმანელ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს გზავნიან ესპანეთში ისე, რომ არ ეკითხებიან მათ, სურთ თუ არა იბრძოლონ მეამბოხეთა მხარეზე. უკანასკნელი რამდენიმე კვირის განმავლობაში გრენადერთა მეექვსე პოლკის, მეცამეტე ქვეითი პოლკისა და მსუბუქი არტილერიის ოცდამეცამეტე პოლკის ჯარისკაცებმა მიიღეს ბრძანება გამოცხადებულიყვნენ ასეულის მეთაურებთან ესპანეთში გასაგზავნად. „ესპანეთის ლეგიონის" მუნდირები, რომელთაც გერმანელი „მოხალისეები" იცვამენ ესპანეთში ჩასვლისას, გერმანიაში იკერება.

გაზეთის სიტყვით, გერმანიაში ჩაიყვანეს ესპანეთში დაჭრილ გერმანელ „მოხალისეთა" პირველი პარტიები. ისინი სპეციალური თვითმფრინავებით გადაჰყავთ.

მადრიდის საჰაერო ბომბარდირების მსხვერპლნი

ლონდონი, 18 დეკემბერი (საქდესი). ბრიტიშ იუნაიტედ პრესის სააგენტოს მადრიდელი კორესპონდენტი იუწყება, რომ უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში მეამბოხეთა თვითმფრინავებით მადრიდის მუშათა რაიონების საჰაერო ბომბარდირებისას მოკლულ იქნა მხოლოდ ერთი მამაკაცი, დანარჩენი 62 მოკლული — ქალები და ბავშვებია. დაჭრილი არიან აგრეთვე უმთავრესად ქალები და ბავშვები. განსაკუთრებით ბევრი ქალი იქნა მოკლული ყუმბარებით, რომლებიც ერთ მაღაზიასთან გამართულ რიგზე ჩამოჰყარეს.

მთავრობის ავიაციის მოქმედება

ვალენსია, 19 დეკემბერი (საქდესი). მთავრობის თვითმფრინავებმა ყუმბარები უშენდნენ ბაენისა და სალამანკის რკინიგზის სადგურებს.

ჰიტლერმა მიიღო ფრანკოს „მთავრობის" წარმომადგენელი

ბერლინი, 19 დეკემბერი (საქდესი). გუშინ ჰიტლერმა მიიღო ესპანელ მეამბოხეთა „მთავრობის" საქმეთა რწმუნებული ბერლინში ესტრადა.

აირწინაღების გაგზავნა მადრიდში

ლონდონი, 19 დეკემბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტოს გადმოცემით, გუშინ ინგლისიდან ესპანეთის რესპუბლიკის მთავრობას გაუგზავნეს 5 ათასი აირწინაღი. რამდენადაც აირწინაღები გაგზავნილია ჰუმანური მოსაზრებით და არ ეკუთვნის სამხედრო მასალების კატეგორიას, აღნიშნავს სააგენტო, ლაპარაკიც კი არ შეიძლება იმაზე, წარმოადგენს თუ არა ეს ჩაურევლობის შესახებ დადებული შეთანხმების დარღვევას.

მარიზა ჰილზის თვითმფრინავის კატასტროფა

პარიზი, 19 დეკემბერი (საქდესი). ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ ისტრში (ბუშ-დიუ-რონის დეპარტამენტი) დაიმსხვრა თვითმფრინავი, რომლითაც ცნობილი ფრანგი მფრინავი ქალი მარიზა ჰილზი აწარმოებდა საჰაერო ფრენას და ემზადებოდა სისწრაფის რეკორდის დასამყარებლად. მფრინავი ქალი პარაშუტით დაეშვა ძირს, იგი მძიმედ არის დაშავებული. მოტეხილი აქვს ერთი ნეკნი, მაგრამ მის ჯანმრთელობას საფრთხე არ მოელის.

ტოლედოს მისადგომებთან

ბარსელონა, 19 დეკემბერი (საქდესი). არანხუესის რაიონში წინწაწევამ ნება მისცა რესპუბლიკურ ჯარებს მიახლოვებოდნენ ტოლედოს. დაკავებულია სოფელი ვილაპერდე.

პოსუელო დე ალარკონის და ბოადილია დელ მონტეს (მადრიდის დასავლეთით) უბნებზე მეამბოხენი განსაკუთრებულ აქტივობას იჩენენ.

ასტურიის ფრონტზე მეამბოხეთა ჯარებს მოუვიდათ გერმანული დამხმარე ძალები.

თემთა პალატა დათხოვნილია 19 იანვრამდე

ლონდონი, 18 დეკემბერი (საქდესი). თემთა პალატა დათხოვნილია 19 იანვრამდე საშობაო არდადეგებისათვის.

კარლ მარქსის სახ. ყაზარმაში (ვალენსია).

სურათზე: მომენტი მებრძოლთა ვარჯიშობიდან. **ფოტო „სოიუზფოტოსი".**



აფხაზეთის სუბტროპიკულ მინდვრებზე დამწიფდა ციტრუსთა უხვი მოსავალი. წინასწარი ვარაუდით, მოკრეფილი იქნება დაახლოებით 17 მილიონი ნაყოფი.

სურათზე: კოლმეურნე ოვანეს ხაჩატურიანი (აფხაზეთის ასსრ გულრიფშის სოფსაბჭოს კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბერი") ჰკრეფს ფორთოხალს თავის საკარმიდამო ნაკვეთზე.

ფოტო ჰასკოსი („სოიუზფოტოს" საქ. განყ.).

მაღალი მოსავლიანობის მოწინავენი ამხანაგ სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

ჩვენ, კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, მოვაღწიეთ რა წელს მაღალ მოსავალს, მიწათმოქმედებისა და მეცნიერების დარგის მუშაკებთან ერთად შევიკრიბეთ ლენინის სახ. სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიაში და მხურვალე, ბოლშევიკურ სალამს გითვლით შენ, დიდ ბელადს, მამასა და მეგობარს, თავისუფალი და სასიხარულო ცხოვრების კონსტიტუციის შემომქმედს!

ერთი წლის წინათ შენ დაგვისახე ამოცანა — ვიბრძოლოთ 7-8 მილიარდი ფუთი მარცვლის ყოველწლიური წარმოებისათვის.

დამკლავებული შევუდექით ამ ამოცანის შესრულებას; აგროტექნიკის ყველა წესის მიხედვით შევამზადეთ მიწა, ჩავატარეთ თესვა, შევიტანეთ სასუქი, გულმოდგინედ გავმარგლეთ ყანები და უდანაკარგოდ ავიღეთ პური.

მიუხედავად არახელსაყრელი კლიმატური პირობებისა, საუკეთესო ოსტატებმა მიაღწიეს 50 და მეტ ცენტნერ მოსავალს ჰექტარზე და, ამრიგად, შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებანი.

ახლა ჩვენ, მინდვრებისა და მეცნიერების მუშაკები, ვკისრულობთ ახალ ვალდებულებას — მოვიპოვოთ 1937 წელს ახალი რეკორდები, მივაღწიოთ იმას, რომ მაღალი მტკიცე მოსავალი ყველა კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მინდვრების ურყევი კანონი გახდეს.

სიტყვას გაძლევთ შენ, რომ ჩვენ შევასრულებთ ნაკისრ ვალდებულებებს და ჩვენი მაგალითით ავაფრთოვანებთ სოციალისტური სოფლის მეურნეობის ათასობით ახალ სტახანოველებს, რომლებიც 1937 წლის დამლევს ჩვენთან ერთად წარადგენენ პატაკს თავის გამარჯვებებზე.

გაუმარჯოს დიად სტალინურ კონსტიტუციას!

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ და დიდ სტალინს!

მიღებულია ვ. ი. ლენინის სახ. სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა საკავშირო აკადემიის მარცვლეულის სექციის გაფართოებულ პლენუმზე (საქდესი).

დადგენილება

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ რესპუბლიკის სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო **ადგენს:** ამხ. ე. გორდელაძის სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით განთავისუფლდეს იგი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსად დაინიშნოს ამხ. ეკაკი სამსონის-ძე თათარიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე — გ. მგალობლიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი — ვ. კვირიკაძე.

1936 წ. დეკემბრის 19.

ვენახების გაშენების გეგმა შესრულებულია

17 დეკემბრისათვის ლუქსემბურგის რაიონში პირველხარისხოვანი ნერგით ვენახების გაშენების საშემოდგომო გეგმა შევასრულეთ რაოდენობრივად და ხარისხობრივად, გაშენებულია 92 ჰექტარი, ნაცვლად 88 ჰექტარისა.

ვამთავრებთ გაზაფხულზე გასაშენებელი პირველხარისხოვანი მასალის ამოღებას, განვაგრძობთ რემონტისათვის ბუჩქების გადაწვენას, ძველი ნარგავების გადაბარვას, გაპატივებას და გასხვლას, აგრეთვე სარეებისა და სანამყენე კალმების დამზადებას საგაზაფხულო მუშაობისათვის.

საქ. კ. პ. (ბ) ლუქსემბურგის რაიკომის მდივანი ლადარია.

ჯილდო საუკეთესო მუშაობისათვის

ხანგრძლივი წვიმები და ცუდი ამინდი მეტად უშლიდა ხელს წელს ჩაის ბუჩქის მოსავლიანობას. მიუხედავად ამისა ძვირფასი კულტურის, გამარჯვებათა ოსტატების, უმთავრესად სტახანოველთა შრომით, შედეგად ჩაის კრეფის გეგმა საქართველოში გადაჭარბებით შესრულდა. მომავალი წლიდან, ცხადია, პლანტაციების მოსავალი უფრო მეტად გაიზრდება. ამის საუკეთესო პირობაა აგროწესების უკეთ გამოყენება და ის დიდი დახმარება, რომელსაც მეურნეობები მიიღებენ — საკავშირო სუბტროპიკულ კულტურათა მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილის — ამხ. მახნევიჩის განცხადებით, 1937 წელს მნიშვნელოვნად გაიზრდება მინერალურ — აზოტოვანი სასუქების მიწოდება-შეტანისა და მწვანე სასუქების ანუ სიდერატების თესვის გეგმა.

ამ ღონისძიებებითა და საერთოდ პლანტაციათა უკეთესი მოვლით, წლევანდელი 1630 კილოგრამი საშუალო მოსავლის ნაცვლად, ჰექტარზე მიღებულ უნდა იქნას 1800 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი.

გეგმის მიხედვით აგრეთვე განზრახულია ჩაის სამუშაოთა წარმატებით შესრულებისათვის მეურნეობებს, აგროპერსონალსა და სხვა ხელმძღვანელ მუშაკებს, მოსავლის გადიდებაში ყველა გამარჯვებულთ მიეცეთ თვალსაჩინო ჯილდოები.

ახლა მთავარია რაც შეიძლება მეტად დავეუფლოთ ჩაის მოვლა-დამუშავების სავალდებულო წესებს, ფართოდ დავნერგოთ სტახანოვური მუშაობის მეთოდები და ყოველ მხრივ მზად ვიყოთ ახალ გამარჯვებათა უზრუნველსაყოფად.

„პრავდის“ კომენტარიები საკავშირო დეპეშათა სააგენტოს ცნობის გამო

„ესპანეთის ფაშისტებმა ცეცხლი წაუკიდეს და ჩასძირეს საბჭოთა გემი, რომელსაც მარგანეცის მადანი მიჰქონდა“

საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელი ღრმა აღშფოთებისა და მრისხანების გრძნობით წაიკითხავს ცნობას თბომავალ „კომსომოლისათვის“ ცეცხლის წაკიდებისა და ჩაძირვის შესახებ. დღევანდლამდე ფაშისტი პირატები საბჭოთა იარაღის ძებნის ყალბი საბაბით მთელ რიგ შემთხვევებში პროვოკაციულ თავდასხმებს აწყობდნენ საბჭოთა გემებზე, აკავებდნენ მათ ღია ზღვაში, უკანონოდ სჩხრეკდნენ საბჭოთა გემებს და ძალდატანებით უცვლიდნენ მათ გზას. თბომავალ „კომსომოლისათვის“ ცეცხლის წაკიდება და მისი ჩაძირვა წარმოადგენს ომის ფაშისტ გამჩაღებელთა ახალ წარმოუდგენელ ბოროტმოქმედებას.

ამჟამად ძნელია ფაშისტთა ამ გაუგონარი პროვოკაციის ყველა შედეგის გათვალისწინება. ერთი რამ კი ცხადია, რომ ესპანეთის ფაშისტები და მათი მფარველები თავს ვერ დაიძვრენენ პასუხისმგებლობისაგან.

სიმართლე სსრ კავშირის შესახებ

პარიზი, 19 დეკემბერი (საქდესი). დღეს „ლუმანიტემ“ გამოაქვეყნა განცხადება, რომელიც საფრანგეთის შრომის გაერთიანებული საყოველთაო კონფედერაციის დელეგაციამ გააკეთა სსრ კავშირიდან თავის დაბრუნებასთან დაკავშირებით. შრომის საყოველთაო კონფედერაციის დელეგაცია პირველად იყო სსრ კავშირში საბჭოთა პროფკავშირების მოწვევით.

დელეგაცია აღნიშნავს, რომ საბჭოთა ქვეყანაში სრულიად ლიკვიდირებულია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია და ლიკვიდირებულია უმუშევრობა. დელეგაციაზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა საბჭოთა ქვეყნის ეკონომიურმა ზრდამ, მუშათა, ქალთა და ბავშვთა ცხოვრების პირობების განუწყვეტელმა გაუმჯობესებამ, აგრეთვე კლასობრივი სოლიდარობისა და ნამდვილი ინტერნაციონალიზმის სულმა, რომლითაც გამსჭვალული არიან სსრ კავშირის ხალხები.

დელეგაციამ მაღალი შეფასება მისცა ჰიგიენურ პირობებსა და შრომის დაცვას სსრ კავშირის საწარმოებსა და სკოლებში. დელეგაცია აღნიშნავს, რომ მოსკოვის რეკონსტრუქციის გეგმა წარმოადგენს საქალაქო მშენებლობის ნამდვილ შედევრს. დელეგაცია განცვიფრებულია მიღწევებითა და ცხოვრებით კოლმეურნეობებში, აგრეთვე შავი ზღვის სანაპიროების სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში.

დასასრულ დელეგაცია აღნიშნავს იმ უდიდეს ინტერესს, რომელსაც სსრ კავშირის მოსახლეობა იჩენს ესპანეთის რესპუბლიკური მეომრებისადმი.

დელეგაცია კისრულობს ვალდებულებას მოიაროს საფრანგეთი, რათა სიმართლე უთხრას ფრანგი ხალხის ფართო მასებს საბჭოთა კავშირის შესახებ.

ფაშისტური გერმანიის სამხედრო მზადება

პრაღა, 18 დეკემბერი (საქდესი). გაზეთი „გალო“ იუწყება, რომ ჩეხოსლოვაკიის მოსახლეობა დიდად შეშფოთებულია ფაშისტური გერმანიის სამხედრო მზადებით გერმანია-ჩეხოსლოვაკიის საზღვარზე. ნოემბრის დამლევს და დეკემბრის დასაწყისს გერმანიის სხვადასხვა მოსაზღვრე რაიონში ჩატარდა ნაწილობრივი მობილიზაცია. გერმანიის მოსაზღვრე ქალაქები — პლაუენი, იოჰანგეორგენშტადტი, კლინგენტალჰოფი და ბაირაიტი ჯარითაა სავსე. საქსონიაში დაბანაკებულ სამხედრო ნაწილებში გაუქმებულია ყველა შვებულება შობის დღესასწაულისათვის.

„რუდე პრავოს“ ცნობით, გერმანიის ახალი გარნიზონებისათვის, რომლებიც ჩეხოსლოვაკიის საზღვართან არიან დაბანაკებული, დროებითი ბარაკები აშენდა და შენდება. მაგრამ ახალი სამხედრო ნაწილების მოზღვავება იმდენად დიდია, რომ ბევრი რაზმი იძულებულია კარვებში გაათიოს ღამე. გაზეთი ყურადღებას აქცევს აგრეთვე გერმანელი ფაშისტების გაცხოველებულ აქტივობას ჩეხოსლოვაკიაში.

ფაშისტური „ოთხწლედი“ და მუშათა კლასის მდგომარეობა

ბერლინი, 19 დეკემბერი (საქდესი). ეგრეთწოდებული ოთხწლიანი ეკონომიური პროგრამის შესრულებას თან ახლავს მეწარმეთა გაძლიერებული შეტევა მუშათა კლასის საარსებო დონეზე. თვით ფაშისტური ზოგიერთი გაზეთიც კი იძულებულია ამაზე სწეროს. ასე, მაგალითად, მოიერიშე რაზმების ორგანო „დერ შა-მან“, სწერს, რომ მეწარმენი ამცირებენ სანარდო სამუშაოთა სატარიფო განაკვეთებსა და ახანგრძლივებენ სამუშაო დღეს; ამასთანავე იმ მუშებს, რომელნიც არ ეთანხმებიან ამას, მეწარმენი ახალმოდის ბრალდებას უყენებენ — „ოთხწლიანი პროგრამის საბოტაჟს“.

17 დეკემბერს ჰიტლერი და გერინგი გამოვიდნენ მეწარმეთა წინაშე თხოვნით, რათა ისინი ჩაებნენ „ოთხწლიანი გეგმის“ შესრულების საქმეში.

◇ ○ ◇

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობა

პარიზი, 19 დეკემბერი (საქდესი). საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიაც ნათქვამია: იმ საუბრების დროს, რომლებიც სწარმოებდა რუმინეთის საგარეო მინისტრ ანტონესკუსა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ დელბოსს შორის, აღინიშნა „სრული იგივეობა შეხედულებების სხვადასხვა პოლიტიკურ პრობლემებზე, რომლებიც აინტერესებენ იმ მთავრობებს, ვისი წარმომადგენლებიც ისინი არიან. მათ განსაკუთრებული კმაყოფილებით აღნიშნეს ის თანხმობა, რომელიც სუფევს არა მარტო რუმინეთთან საფრანგეთის ურთიერთობაში, არამედ საფრანგეთის ურთიერთობაშიც მცირე ანტანტის ყველა ქვეყანასთან“.

ცხიმების საულუფო განაწილება გერმანიაში

ბერლინი, 19 დეკემბერი (საქდესი). დღეს ყველა ქუჩაში გაკრულია ბრძანება იმ განსაზღვრულ მაღაზიებზე მოსახლეობის მიმაგრების წესის შესახებ, სადაც 1937 წლის 1 იანვრიდან იწარმოებს ცხიმების საულუფო განაწილება.

დარიგებული ანკეტა ითვალისწინებს „თვითმომარაგების“, ე. ი. ცხიმოვანი პროდუქტების საფოსტო გზავნილებით და სხვა გზით მიღების შესაძლებლობას. უკეთებენ რა კომენტარიებს ბრძანებას, გაზეთები მიუთითებენ, რომ თვითეულ ადამიანზე გაცემული ცხიმოვანი პროდუქტების რაოდენობა დამოკიდებული იქნება ამა თუ იმ მაღაზიის მიერ მიღებული ცხიმების რაოდენობასა და მაღაზიებზე მიმაგრებულ მყიდველთა რიცხვზე.

ოფიციალურად იუწყებიან, რომ არავითარი ლაპარაკი არ შეიძლება ცხიმების გასაცემი რაოდენობის რაიმე გადიდებაზე და რომ ამა თუ იმ მაღაზიაზე მიმაგრებულ მყიდველთა რიცხვის ყოველგვარი გადიდება გამოიწვევს ნორმის შესაბამის შემცირებას წინანდელი მყიდველებისათვის. ამრიგად, ეს განკარგულება ფაქტიურად აძლევს შესაძლებლობას მაღაზიის მფლობელს პირადად გადასჭრას ამა თუ იმ მყიდველისათვის გასაცემი ცხიმების რაოდენობის საკითხი და მისცეს ესა თუ ის პრივილეგია უფრო მდიდარ მყიდველებს.

◇ ◇ ◇

ჩან კაი-შის წერილი ხო ინ-ცინს

შანხაი, 19 დეკემბერი (საქდესი). სენტრალ ნიუსის სააგენტო იუწყება, რომ 18 დეკემბერს სიანიდან ნანკინში ჩავიდა გენერალი ძიან ტინ-ვენი, რომელიც ჩან სუე-ლიანმა ატყვეობიდან გაანთავისუფლა. მან ნანკინის მთავრობის სამხედრო მინისტრს ხო ინ-ცინს ჩაუტანა ჩან კაი-შის წერილი შემდეგი შინაარსისა:

„ვეინანზე (სიანიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით დაახლოვებით 50 კილომეტრის მანძილზე) მთავრობის საავიაციო ძალების საჰაერო თავდასხმით შეშფოთებული, გთხოვთ გასცეთ განკარგულება ბომბარდირების შეწყვეტის შესახებ. რამდენადაც შემიძლია ვივარაუდო, მე ჯერ კიდევ შაბათამდე (19 დეკემბერი) ვიქნები ნანკინში და ამიტომ საჭირო არ არის საომარი მოქმედების დაწყება, ხოლო საჰაერო რეიდები უნდა შესწყდეს“. ძიან ტინ-ვენმა აგრეთვე განაცხადა, რომ ჩან სუე-ლიანის მიერ დაპატიმრებული ყველა პირი ცოცხალია.

სააგენტოს ცნობით, ხო ინ-ცინმა გასცა ბრძანება საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

სენტრალ ნიუსის სააგენტო სწერს, რომ ჩან სუე-ლიანის ჯარები თავს იყრიან შენსის პროვინციის აღმოსავლეთ ნაწილში, ლუნხაის რკინიგზის რაიონში.

ომი აბისინიაში

რომი, 19 დეკემბერი (საქდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ იტალიის ჯარებმა აბისინიაში დაიკავეს გამბელა, სამხრეთ-დასავლეთ აბისინიაში, ინგლის-ეგვიპტის სუდანის საზღვარზე.

თბილისის ტრამვაის [illegible] — კომკავშირელი ამხ. ა. ხილტუკოვიჩი შემკრები საამქროს საუკეთესო სტახანოველია, ნორმას 320 პროცენტით ასრულებს.
სურათზე: ამხ. ხილტუკოვიჩი ტრამვაის ელექტროძრავის გასინჯვაზე.
ფოტო ბუდიმსკაიას (სოიუზფოტოს საქ. განყ.).

საუბარი გარიბალდის ლეგიონის მებრძოლებთან*

კარლო როსსი

ორი იტალიელი ამხანაგი, ამ ერთი თვის წინათ მადრიდის ფრონტზე სერიოზულად დაჭრილნი, ამ დღეებში მოსკოვს ჩამოვიდნენ. ლინო ძოკი მაღალმაღალი ახალგაზრდაა, ასე ოცდაექვსი წლისა, შავგვრემანი. მარჯვენა ხელი დადამბლავებული აქვს მხარში დაჭრის გამო. ლუიჯი ვიკო პატარა, შავთმიანი ტიპიური რომაელია; მისთვის მოუჭრიათ მარცხენა ხელი, რომელიც დუმ-დუმის ტყვიამ დაუფლითა.

— ჩვენ ჯერ კიდევ სექტემბერში მოვაწყეთ გასტონ სოციის სახელობის რაზმი, ამბობენ ისინი. ჩვენ, იტალიელები, რვა თუ ათი კაცი ვიყავით, თითქმის ყველანი კომუნისტები, შემდეგ შემოგვიერთდა 35 პოლონელი, რამდენიმე ფრანგი, მათ შორის ერთი ქალი — ამასწინათ იგი დასჭრეს, — რამდენიმე ბელგიელი და ერთი ამერიკელი—იგი მოჰკლეს.

— სად იბრძოდით?

— მადრიდის ფრონტზე. ოქტომბრის დასაწყისში დავიკავეთ სოფელი პერლუსტანი და გავრეკეთ იქიდან ფაშისტები. მოსახლეობა აღტაცებით შეგვხვდა, მეტადრე როცა მიტინგებზე გამოვაცხადეთ ლოზუნგი „მიწა გლეხებს“.

— ჩვენ ბასტიკი ბრძოლები გადავიხადეთ. მაროკოელები რომ იერიშზე მოდიან, აფთარივით ღმუიან, ეს მართლაც რაღაც შემაძრწუნებელია. ზანგები კი, პირიქით, ჩუმად მოდიან იერიშზე. ბოლოს, იძულებული გავხდით უკან დავეხიეთ, იმიტომ რომ ჩვენი მარჯვენა ფლანგი დამარცხდა; ყოველ ნაბიჯზე წინააღმდეგობის გაწევით უკან ვიხევდით მადრიდის მიდამოებამდე.

— შენ ძალიან ახალგაზრდა ხარ, — მივმართავ ძოკის, — როგორ გახდი კომუნისტი?

— მამა-ჩემი მუშა იყო, სოციალისტი, მან პიონერებში ჩამწერა. შემდეგ ფაშისტებმა, რა თქმა უნდა, გაანადგურეს ჩვენი ორგანიზაცია. მაგრამ ერთხელ, 1925 წელს, შემთხვევით. წავაწყდი არალეგალურ ფურცელს, რომლითაც გავიგე, რომ ჩემს ქვეყანაში ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი არსებობდა. მოვძებნე ეს ორგანიზაცია და მისი წევრი გავხდი. მამა-ჩემი ამის წინააღმდეგი არ იყო. 1929 წ. დამაპატიმრეს იმის გამო, რომ 1 მაისის წინადღეს ყვავილები წავიღე ფაშისტების მიერ მოკლული ამხანაგების საფლავებზე. მალე საფრანგეთში გარდავიხვეწე და იქაც კომკავშირში შევედი. პურისმცხობელი ვარ, მაგრამ საფრანგეთში მელითონედაც ვმუშაობდი, კალატოზადაც, მღებავადაც... ცხოვრება ხომ მინდოდა.

— მე „ვეტერანი“ ვარ — ამბობს ვიკო. დაახლოვებით 3 წელიწადს რომში ვცხოვრობდი არალეგალურად. საფრანგეთში ვმუშაობდი ჩემს სპეციალობაზე — ფეხსაცმლის ფაბრიკაში. ამავე დროს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის რიგებში ვიბრძოდი.

— როგორია თქვენი შთაბეჭდილება ესპანეთზე?

— ესპანელი ხალხი ფაშისტების წინააღმდეგია, ამაში არავითარი ეჭვის შეტანა არ შეიძლება. ესპანელი მუშები კარგად იბრძვიან, მეტადრე როცა საჭიროა იერიშზე გადასვლა. სამაგიეროდ, წინააღმდეგობის გაწევა, სულიერი სიმშვიდის შენარჩუნება საარტილერიო ცეცხლისა და საავიაციო ბომბარდირებისას, მაროკოელთა იერიშების დროს, პირველ ხანას უჭირდათ. მაგრამ ახლა მათ [illegible]. ამას მადრიდის დაცვა ამტკიცებს.

უნდა აღვიაროთ, რომ წინათ ფაშისტური ავიაციის უპირატესობა მეტად საგრძნობი იყო. ხანდახან მთელი დღის განმავლობაში ერთ რესპუბლიკურ თვითმფრინავს ვერ დაინახავდი. ბუნებრივია, რომ ზოგჯერ სახალხო მილიციის ნაწილები ვეღარ უძლებდნენ ათეულ ფაშისტურ თვითმფრინავთა ცეცხლსა და ყუმბარებს. მილიციელები გაბედულნი, თავგანწირულნი იყვნენ, მაგრამ არ ჰქონდათ კარგი შეიარაღება, დისციპლინა და ორგანიზაცია. ახლა ყველაფერი ეს შეიცვალა.

— ჩვენ თითქმის არ შეგვხვედრია ბრძოლა ესპანელ ჯარისკაცთა წინააღმდეგ. ჩვენი მოწინააღმდეგენი მაროკოელები და ზანგები იყვნენ. ისინი შეადგენენ ფაშისტური არმიის უმრავლესობას, თუმცა ფაშისტები აცხადებენ „ესპანეთი ესპანელებისთვისაო!“, ღიმილით დასძენს ვიკო, და საერთოდ ფაშისტებს ყველაფერი არაესპანური აქვთ — მანქანები, ყუმბარები, თვითმფრინავები, ტანკები.

— ბევრი უცხოელი იბრძვის ესპანელი ხალხის მხარეზე?

— ესპანეთის რესპუბლიკური არმიის რიცხვთან შედარებით — ძალიან ცოტა. მაგრამ მაინც მათი რიცხვი ახლა უკვე რამდენიმე ათას კაცს უდრის. ინტერნაციონალური ბრიგადა მნიშვნელოვანი ფაქტორია გახდა ბრძოლის უნარის მხრივაც და მისი მებრძოლთა შეგნების მხრივაც, აგრეთვე როგორც საერთაშორისო სოლიდარობის ცოცხალი საბუთი.

— ჩვენ ინტერნაციონალური ბრიგადის შექმნამდე დაგვჭრეს. მაგრამ ჩვენი რაზმი ამ ბრიგადაში შევიდა და ჩვენ დავესწარით მის ორგანიზაციას და სამხედრო მეცადინეობას. იგი ისეთ ადამიანთაგან შესდგება, რომელთაც აერთიანებს შესანიშნავი სამხედრო თვისებები, რწმენა, ენთუზიაზმი და მაღალი პოლიტიკური შეგნება.

—ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს ბრიგადაში ფრანგები შეადგენენ. შემდეგ მოდიან იტალიელები, მესამე ადგილზე არიან გერმანელები. გარდა ამისა, ბრიგადაში ასობით არიან სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელნი: პოლონელები, ინგლისელები, ამერიკელები, ბულგარელები, სლოვაკები, ბელგიელები, შვეიცარიელები და სხვ.

ომი ესპანეთში ამიერიდან გახდა სამოქალაქო ომი საერთაშორისო მასშტაბით. ესპანელები ებრძვიან ესპანელებს; იტალიელები — იტალიელებს, გერმანელები-გერმანელებს... ფაშისტები — ყველა ქვეყნის რევოლუციონერებს.

— რა სამხედრო ნაწილები შექმნეს იტალიელებმა?

— გარიბალდის ლეგიონი. აქ უმრავლესობას კომუნისტები შეადგენენ, მაგრამ არიან სოციალისტებიც, ანარქისტები, დემოკრატები და რესპუბლიკელები.

გარიბალდის ლეგიონი შესდგება ოთხი ნაწილისაგან, რომელნიც ატარებენ „სოცის“, „დე-ბოზისის“, „ანჯელინისა“ და „დე-როზის“ სახელებს. სოცი ახალგაზრდა კომუნისტი იყო, რომელიც აწამეს და მოჰკლეს იტალიის საპყრობილეში 1929 წელს, დე-ბოზისი — პოეტი-დემოკრატი, რომელმაც 1930 წ. მარტო გადაუფრინა რომს და გადმოჰყარა ანტიფაშისტური პროკლამაციები. იგი ფაშისტმა მფრინავებმა მოჰკლეს; ანჯელინი იყო რესპუბლიკელი ადვოკატი, რომელიც ოქტომბერში მოჰკლეს ჰუესკასთან იმ მომენტში, როდესაც ყუმბარას სტყორცნიდა ფაშისტურ ფრონტს. დე-როზა-სტუდენტი სოციალისტი, რომელმაც 1930 წ. ბრიუსელში რევოლვერი ესროლა იტალიის მემკვიდრე პრინცს; იგი დაიღუპა გვადარამის ფრონტზე ოქტომბერში, როდესაც სათავეში ედგა თავის ათასეულს... ამ გმირთა სახელები მართლაც მთელ იტალიელ ხალხს წარმოადგენენ.

— გარიბალდის ლეგიონში ჩვენ ვნახეთ მოხუცი და ახალგაზრდა იტალიელები, მსოფლიოს ყველა კუთხიდან შეკრებილნი. პოლიტიკურ კომისრებს შორის არიან ამხანაგები გალლო და დი-ვიტორიო, ყოფილი დეპუტატი-კომუნისტი. ორივენი იტალიის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრები არიან. ოფიცრებს შორის შეიძლება აღვნიშნოთ ადვოკატი — რესპუბლიკელი პაჩიარდი და ყოფილი დეპუტატი-კომუნისტი პიცელი. პაჩიარდი ნამდვილი გმირი იყო 1915—1918 წლ. ომის დროს, რომელიც მას რევოლუციის გამომწვევ ომად მიაჩნდა. მან ექვსი იტალიური, ფრანგული და ინგლისური ორდენები მიიღო. 1923 წელს რომში ვენეციის მოედანზე მუსოლინის სიტყვის მოსასმენად შეკრებილ ომის ვეტერანთა შორის ის ერთადერთი იყო, რომელმაც გაბედა სიტყვა გაეწყვეტინებინა მისთვის შეძახილით „გაუმარჯოს თავისუფლებას!“ შემდეგ იგი იტალიიდან გარდაიხვეწა, ახლა კი ესპანეთში ნამდვილ რევოლუციურ ბრძოლაში მონაწილეობს. პიცელიმაც გადაიტანა იმპერიალისტური ომი, შემდეგ კი — 1922 წ. გამარჯვების ორგანიზატორი იყო პარმაში, სადაც ხალხმა უკუაქცია იტალიის ყველა კუთხიდან ათასობით მოსული ფაშისტები, რომელნიც მოგროვილიყვნენ, რათა გაეტეხნათ ერთერთი უკანასკნელი ანტიფაშისტური ქალაქის წინააღმდეგობა... დიაღ, ესპანეთის მიწა-წყალზე ჩვენ კვლავ ვაწარმოებთ პირველ ბრძოლებს იტალიელი ხალხის განთავისუფლებისათვის.

— როგორია თქვენი შთაბეჭდილება პოლიტიკური პარტიების მუშაობაზე?

— კომუნისტური პარტია იზრდება და მტკიცდება, იგი სოციალისტურ პარტიასთან ხელი-ხელ ჩაკიდებული იბრძვის. კატალონიაში ეს პარტიები უკვე გაერთიანდნენ. ღრმა ცვლილებები ხდება ანარქისტ-სინდიკალისტთა მასებში.

— როგორია საერთო დასკვნა: ჩვენ გავიმარჯვებთ?

— რა თქმა უნდა, გავიმარჯვებთ. ფაშისტები მიზანს ვერ მიაღწევენ. ყველა ამხანაგი, ყველა მუშა შეასრულებს თავის მოვალეობას, მაგრამ მათ ესაჭიროებათ დახმარება, დახმარება და დახმარება!

...გამოვემშვიდობე ამხანაგებს, რომლებმაც ასე საუცხოოდ დაამტკიცეს თავიანთი რევოლუციური შეგნება, და თქვენი სახელითაც გადავეცი მათ სალამი, ამხანაგო მკითხველო!

---

*) მიღებულია მოსკოვიდან ჩვენი საკ. კორესპონდენტის საშუალებით. რედ.

პროფ. ს. ჯანაშია

ხეტების ისტორიისა და ენის საკითხისათვის *

დეკემბრის პირველი ექვსდღიური აღინიშნა თბილისში საყურადღებო ლექციებით, რომლებიც სახ. უნივერსიტეტში წაიკითხეს ცნობილმა უცხოელმა სპეციალისტებმა, პროფ. ლემან-ჰაუპტმა და პროფ. ჰროზნიმ. პირველი სპეციალურად ქალდების ენასა და ისტორიაზე მუშაობს, რამდენიმე ხანს კიდევ გაატარებს თბილისში და ჩვენს სამეცნიერო წრეებს არა ერთხელ ექნებათ შესაძლებლობა მოაწყონ მასთან მეცნიერული შეხვედრა და სათანადო აზრთა გაცვლა-გამოცვლა. პროფ. ჰროზნი კი ძალიან მოკლე ხნით იყო საბჭოთა კავშირში ჩამოსული, მან აქ მხოლოდ რამდენიმე ლექცია წაიკითხა, და ჩვენ ამ წერილში გვსურს სწორედ პროფ. ჰროზნის დებულებებზე შევჩერდეთ.

პროფ. ჰროზნი თანამედროვე ევროპული ბურჟუაზიული ორიენტალისტიკის ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელთაგანია. იგი ამჟამად მუშაობს ჩვენდამი მეგობრულად განწყობილ ჩეხოსლოვაკიის ცენტრალურ — პრაღის, — უნივერსიტეტში. ამიტომ, იმათთვის, ვინც ორიენტალისტურ ლიტერატურას თვალყურს ადევნებს, ან ამ დარგში სპეციალურად მუშაობს, მის მოწვევას საბჭოთა კავშირში ცოცხალი კონტაქტის დამყარების მნიშვნელობა ჰქონდა. საბჭოთა მეცნიერება, რომელიც მიზნად ისახავს საკვლევო საქმე უმაღლეს საფეხურზე აიყვანოს ყველა დარგში, აუცილებლად სცნობს კრიტიკულად აითვისოს ყველა მონაპოვარი, რომელიც კაცობრიობის მაძიებელ აზრსა აქვს როგორც გარდასულ ეპოქებში, ისე ამჟამად კაპიტალისტურ ქვეყნებში.

მოსკოვისა და ლენინგრადის შემდეგ, თავისი პირველი ლექცია თბილისში პროფ. ჰროზნიმ წაიკითხა ორ დეკემბერს. აქ მან მოუთხრო თავის აუდიტორიას ხეტოლოგიის ისტორია და თავისი პირველი აღმოჩენების შესახებ ხეტური ლურსმული წარწერების ამოკითხვის საქმეში. ხეტებს მსოფლიო წინათაც იცნობდა ძველი ებრაული, ბერძნული, ეგვიპტური და ასურულ-ბაბილონური წყაროებიდან. მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ მხრივ ჰქონდა შესანიშნავი ასირიოლოგის ჰუგო ვინკლერის აღმოჩენებს, რომელმაც 1905-1907 წ. წ. გასთხარა სოფ. ბოღაზკოი, თურქეთის დედა-ქალაქ ანკარადან 150 კილომეტრით დაშორებული. აქ ნაპოვნი იქნა უმდიდრესი ბიბლიოთეკა და არქივი, რომლის ფონდები თიხის ფირფიტებისაგან შესდგებოდა. ფირფიტებზე ლურსმული ტექსტები იყო ამოკვეთილი. ამ ტექსტების წამკითხველთა რიცხვს ეკუთვნის სწორედ ჰროზნიც. ამ მკვლევართ წამოაყენეს დებულება, რომ დაფების ტექსტი ერთ ენაზე კი არ იყო შედგენილი, არამედ რვაზე: ორი ამათგან უცხოური, მეზობელი ხალხების ენა იყო, ექვსი კი ადგილობრივი, ადგილობრივ ენებში კიდევ ორ ჯგუფს უჩვენებდნენ — ერთი ინდო-ევროპულის ძირს მიაკუთხეს, მეორე კი — რომელიღაც მათთვის უცნობი მოდგმის ხალხს. პირველი, ინდო-ევროპული, თითქოს ოთხ ენისაგან შესდგებოდა, მეორე კი — მხოლოდ ორი წარმომადგენლით განისაზღვრებოდა. ინდო-ევროპულ ელემენტებს ხეტურ ენებში უფრო ადრე სხვებიც ეძებდნენ (კნუდსონი, ბუგე და სხვ.), მაგრამ ამ თეორიის განსაკუთრებით თავგამოდებული დამცველი ამჟამად ჰროზნია.

ჰროზნის აზრით, პირველი ინდოევროპული ენა, რომელიც მან ამოიკითხა ამ დამწერლობის ენებში, ეკუთვნოდა ხეტის სახელმწიფოს გაბატონებულ ხალხს, რომელიც თავის თავს ნეზიტებს უწოდებდა, თავის დედა ქალაქ ნესასის მიხედვით. სხვები კი ამ ენას კანიზურს ეძახიან. ნამდვილი ხეტები, ანუ უფრო სწორედ, ხატები, ნეზიტებზე უფრო ადრინდელი მოსახლეობაა. იგი მკვიდრი ბინადარია ამ ქვეყნისა, სადაც იგი უკვე მესამე ათასეულში, ძვ. წ. ცხოვრობს და დიდ კულტურულ კერას ჰქმნის. ნეზიტები კი აქ მოდიან მეორე ათასეულის დამდეგს, თითქოს თანამედროვე უკრაინიდან. ხატების ენა, „ხატერი“, ამბობს ჰროზნი, არ არის ინდო-ევროპული და შესაძლებელია კავკასიური ენების მონათესავე იყოსო. შემდეგ ჰროზნიმ, მისივე მტკიცებით, ამ არქივში კიდევ ერთი ინდო-ევროპული ენა აღმოაჩინა. იგი ეკუთვნოდა ლუიას ქვეყანაში (მცირე აზიის სამხრეთ ნაწილში) მცხოვრებ ხალხს და ამიტომ მას ლუვიური უწოდეს: ლუები ნეზიტებზე ხუთასი წლით ადრე მოვიდნენო. იმავე წარწერებით, ამბობს ჰროზნი, დადასტურებულ იქნა, რომ ჩრდ. სირიასა და მესოპოტამიაში ცხოვრობდა კიდევ ორი ხალხი: **ხურიტები**, რომელთა ენაც არ იყო ინდო-ევროპული ძირისა და, იქნებ, კავკასიურ ენებს ენათესავებოდა. მეორე ხალხი ალბათ მიტანის სახელწოდებას ატარებდა და სანსკრიტულად ლაპარაკობდა.

თავის მეორე ლექციაში (4 დეკემბერს) პროფ. ჰროზნი სპეციალურად შეეხო ხეტურ ჰიეროგლიფებს. თუ ზემოთდასახელებული ხალხები ლურსმულ დამწერლობას ხმარობდნენ, მეექვსე ტომს, ხატის ტერიტორიაზე მცხოვრებს, უკვე ხატოვანი დამწერლობა ჰქონდა. ამ ხალხისათვის ჰროზნის საკუთარი სახელი ვერ მოუნახავს და მას პირობითად „ჰიეროგლიფურ ხატებს“ ეძახის. ჰროზნი ამტკიცებს, ეს ხალხიც ინდო-ევროპულ მოდგმისა იყო და მეორეულად ენათესავებოდა ნეზიტებს. პროფ. ჰროზნი დარწმუნებულია, რომ მან ამოიკითხა ეს ურთულესი ხატოვანი დამწერლობა. ამ ენის გრამატიკაც შევადგინეო, აცხადებს იგი.

პროფ. ჰროზნის ლექციები ყურადღებით მოისმინა ჩვენმა საზოგადოებამ. ისინი მრავალფეროვან ფაქტიურ მასალას შეიცავდნენ. თანაც ათეულმა დიაპოზიტივებმა თვალსაჩინოდ წარმოადგინეს ხატური ძეგლები. ბევრი დებულება ჩეხოსლოვაკელ ორიენტალისტისა ალბათ შევა მეცნიერების სალაროში, როგორც პოზიტიური მასალა, მაგრამ ბევრი დებულებაც არა დამაჯერებელი და საეჭვოც არის.

სამწუხაროდ, პროფ. ჰროზნის საჯარო გამოსვლების ფორმა ჩვენში, სახელდობრ, ლექციები, რომელთაც კამათი თან არ სდევდა, საშუალებას არ აძლევდა ადგილობრივ მუშაკებს აზრთა სათანადო გაცვლა-გამოცვლა მოეწყოთ ლექტორთან. ამ ნაკლის შევსება სცადა მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალმა, რომელმაც თავის თანამშრომლების წრეში მოიწვია (5 დეკემბერს) ორივე მკვლევარი სწორედ საკამათოდ. შემდეგ თბილისელი მუშაკები კიდევ ერთხელ შეხვდნენ პროფ. ჰროზნის 10 დეკემბერს, როცა ის აქ გავლით გაჩერდა, ერევნიდან კიევს მიმავალი, და კვლავ ესაუბრნენ მას. აქ, სხვათა შორის, მკაფიოდ გამოაშკარავდა ის მეცნიერული აზრთა სხვადასხვაობა, რომელიც ზოგიერთი ძირითადი საკითხის გარშემო არსებობს ჰროზნისა და ადგილობრივ მკვლევართ შორის.

პროფ. ჰროზნის საკუთარ დებულებებში ბევრი რამაა ჯერ კიდევ სავსებით ჰიპოთეტური და დაუსაბუთებელი. მაგ., არ არის დამარწმუნებელი თეორია ინდო-ევროპელ ტომთა მცირე აზიაში მოსვლის შესახებ თანამედროვე უკრაინიდან. საბუთად იგი ასახელებს „ხატურ“ ([illegible]) ენებში — ოსტ სუფიქსის არსებობას, რაც სლავური წარმოშობისაო. ეს საბუთი მეტად მცირეა და სათანადო ტომთა პირვანდელ სამშობლოსა თუ მათი მოძრაობის გზებს სრულიადაც ვერ განსაზღვრავს. შემდეგ, მრავალ მხრივ საეჭვოა თეორია არა ინდო-ევროპელ „ხატების“ დაპყრობის შესახებ ინდო-ევროპელთა მიერ. თუ ამ თეორიას მივიღებთ, მაშინ ბევრი რამ აუხსნელი დაგვრჩება. ხატებისაგან ყველაზე თვალსაჩინო, რაც დაგვრჩენია, ეს არის მათი გამოსახულებანი ბარელიეფებზე. ჰროზნი აღიარებს, რომ აქ გამოსახულ ადამიანთა გაბატონებული ტიპი ინდო-ევროპელი კი არ არის, არამედ ადგილობრივი, „წინააზიური“. რას ნიშნავს ეს? ხომ ცხადია, რომ სათანადო ოსტატებს შეკვეთილი ექნებოდათ გამოესახათ არა დაპყრობილნი, არამედ დამპყრობლები, რომელთაც ვითომც ეკუთვნით ეს ძეგლები?

ჰროზნის აზრით, ინდო-ევროპელი დამპყრობლები ყველგან წინა აზიაში შეადგენდნენ მეტად თხელ ფენას, და ამიტომ ისინი აქ ფიზიკურად გაითქვიფნენ დაპყრობილებში, ენა კი თავისი შეინარჩუნესო. ეს სრულიად დაუჯერებელია. ჩვენ ვიცით დაპყრობის არა ერთი შემთხვევა ისტორიაში და ყველგან სხვა სურათს ვხედავთ. ავიღოთ, მაგ., ნორმანები ევროპაში. საფრანგეთის დაპყრობის შემდეგ მათ ძალიან მალე შეითვისეს ფრანგული ენა. გაფრანგებულებმა მათ დაიპყრეს ინგლისი. აქ, — მართალია, ცოტა უფრო გვიან, — მათ დაივიწყეს უკვე ფრანგული და შეითვისეს ინგლისური. მართლაც გასაგებია, რომ დამპყრობელთათვის გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა თავის განკერძოებული საზოგადოებრივი მდგომარეობის შენარჩუნებას (რისაც ჩვეულებრივად, სათანადო ქორწინებათა, „მეზალიანსის“, აკრძალვით აღწევენ), ვიდრე ენის დაცვას. საკუთარი ენისა და კულტურის დაცვა ინდო-ევროპელებისათვის იმიტომაც უნდა ყოფილიყო თუ შეუძლებელი არა, ძალიან ძნელი მაინც, რომ დაპყრობილნი მათთან შედარებით გაცილებით უფრო მაღლა იდგნენ კულტურულად (დამწერლობა ხომ ადგილობრივი შეითვისეს მოსულებმა).

შემდეგ, უნდა აიხსნას თვით დაპყრობის პირობები, ეს უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხია. თუ ინდო-ევროპელები ასე მცირერიცხოვანნი იყვნენ, რანაირად მოახერხეს მათ მკვიდრი მოსახლეობის დამორჩილება? პასუხი ასეთია: დამპყრობლები უფრო მაღლა იდგნენ სამხედრო ტექნიკის მხრივო. ესეც სრულიად დაუჯერებელი ამბავია: ჩვენ ზედმიწევნით ვიცით, რომ აღნიშნულ ხანაში წინა აზია შეუდარებლად უფრო მაღლა სდგას საწარმოო ძალთა (და მაშასადამე, სამხედრო ტექნიკის) განვითარების მხრივ, ვიდრე ის ქვეყნები, საიდანაც პროფ. ჰროზნისა და მის თანამოაზრეებს გამოჰყავს ეს ინდო-ევროპელი დამპყრობლები (ე. ი. აღმოსავლეთ ევროპა; ეგევე იქნება დასავლეთ ევროპაზედაც). სათანადო უდაო ფაქტებს არქეოლოგია გვაწვდის, და ეს საყოველთაოდ ცნობილია. შემდეგ, სრულიად დაუჯერებელია, რომ თითქმის ორი ათასი წლის განმავლობაში ბატონობდეს ეს ინდო-ევროპელები მცირე აზიასა, ჩრდილოეთ-სირიასა და მესოპოტამიაში, მთელი ამ ხნის განმავლობაში შეინახეს თავისი ენები, შექმნეს ამ ენებზე ვრცელი მწერლობა და შემდეგ სრულიად უკვალოდ გაქრნენ (ჯერჯერობით ჩვენ ვერავითარი საასო კვალი ვერ გვიპოვნიაო, განაცხადა ჰროზნიმ). ასეთი ამბები ისტორიაში არ ხდება. წინააღმდეგ: უძველესი მოსახლეობის ნაკვალევი დღესაც ჩანს. კერძოდ, წინა აზიის ტოპონიმიკაში. მაგრამ იგი სრულებით არ არის ინდო-ევროპული ხასიათისა.

არა ინდო-ევროპულ ხასიათისაა აშკარად აგრეთვე ამ მეორე ფორმაციის (ჰროზნის თეორიით, ინდო-ევროპულ მოდგმის) „ხეტების“ მეფეების და ღმერთების უმრავლესობის სახელები: ტუტხალია, ხატუშილი (თუ ხატუსილი), პუტუხეპა, ტარხუნდი (საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ მეცხრე საუკუნეში საქართველოში დადასტურებულია სახელი „თარხუჯი“, რაც ალბათ იგივეა), თეშუბი, სანდონი, აპულუნა (თუ ასეთი ღმერთი მართლაც არსებობდა იქ), რუტას და სხვ. შემდეგ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ჰროზნის მტკიცებით, ეს ინდო-ევროპელები თავიანთ თავს ეძახოდნენ ნეზიტებს, თავიანთ ენას კი — ხატილის, ე. ი. ძველი, არა ინდო-ევროპული ენის სახელს. როგორ მოხდა, რომ ახალმა, სტრუქტურულად მრავალ საუკუნის განმავლობაში დაცულმა, ინდო-ევროპულ ენამ შეირქვა ძველი, ადგილობრივი, ენის საკუთარი სახელი?

ასეთი გაუგებრობანი, უეჭველად საეჭვო ან აშკარად მიუღებელი თეორიები შედეგია, ერთი მხრით, იმისა, რომ თვით საკვლევო მეთოდი არ არის სათანადოდ გამართული, იგი უმთავრესად ფორმალისტური ხასიათისაა, ხოლო მეორე მხრით, იმისა, რომ დასავლეთ ევროპის სპეციალისტები ამ საქმეში სათანადო ანგარიშს არ უწევენ, თუ ვერ უწევენ იმ ენების და ხალხების მნიშვნელობას, რომელთაც ჰროზნი და სხვები ასე დაუდიფერენცირებულად „კავკასიურს“ უწოდებენ. ჩვენი აზრით, ამ ენების, პირველ რიგში და უპირატესად, ქართველთა ენობრივი, ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური სინამდვილის ღრმა ცოდნის გარეშე შეუძლებელია წინა აზიისა და, მაშასადამე, ხატების ენებისა და კულტურის ნამდვილი ბუნების მეცნიერული გაგება.

საგაზეთო წერილში შეუძლებელია ამ აზრის სრული გაშლა. სპეციალურ ლიტერატურაში უკვე თავმოყრილია განსაზღვრული საბუთები, ხოლო კიდევ უფრო ვრცელი და დამარწმუნებელი მასალა წარმოდგენილი იქნება ჩვენი მუშაკების შრომებში, რომლებიც ეხლა მზადდება, საიდანაც ჩანს, რომ ეს ტომები მოვიდნენ კავკასიაში წინა აზიიდან და რომ მათ უშუალო კავშირი აქვთ წინა აზიის უძველეს მოსახლეობასთან.

სწორედ ამიტომ ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა ქართველურ ენებსა და ქართველ ტომთა უძველეს კულტურას. ქართული მწერლობის ძეგლები მოღწეულია [illegible] მეოთხე-მეხუთე საუკუნიდან და მათი საშუალებით ჩვენ შეგვიძლია ქართული ენის განვითარების კანონზომიერება დავადგინოთ, გავითვალისწინოთ მისი ევოლუციის ტენდენციები არა მარტო ისტორიულ ხანაში, არამედ წინამორბედი ხანისთვისაც გარკვეული დასკვნები გავაკეთოთ ამ მხრივ. აქ, სამწუხაროდ, ჩვენ არც ამ დებულების გაშლა შეგვიძლია, უადგილობის გამო, საკუთარი სისრულით. აღვნიშნავთ მხოლოდ რამდენიმე ფაქტს:

ქართული ანბანის მეცნიერულმა შესწავლამ გამოარკვია, რომ იგი შეთვისებული უნდა იყოს მცირე აზიაში არა უგვიანეს მეშვიდე საუკუნისა ქრ. წინ (იხ. პროფ. ივ. ჯავახიშვილი „ქართ. პალეოგრაფია“). ეს არის უაღრესად მნიშვნელოვანი საბუთი იმისა, რომ იმ დროს ქართველები ჯერ კიდევ იქ იყვნენ.

თუ მართლაც ქართულ ალფაბეტურ დამწერლობის სათავე სემიტურ

---

*) რედაქციისაგან. ამასწინათ ცნობილმა ჩეხოსლოვაკელმა ორიენტალისტმა პროფ. [illegible] ჰროზნიმ თბილისში წაიკითხა ორი ლექცია ხეტების ისტორიისა და ენის შესახებ.

ვაქვეყნებთ პროფ. ჯანაშიას სტატიას, რომელიც შეიცავს პროფ. ჰროზნის ამ ლექციებში წამოყენებული ზოგიერთი ძირითადი საკითხის საწინააღმდეგო მოსაზრებებს და გარკვეულ სამეცნიერო ინტერესს წარმოადგენს ხეტების, როგორც კაცობრიობის უძველესი კულტურის წარმომადგენელთა, ისტორიისა და ენის შესწავლის საქმეში.

თელავის აბრეშუმის ძაფსაღებ ფაბრიკაში საგანგაშო მდგომარეობა

(„კომუნისტის" და „კოლმეურნის ხმის" კორესპონდენტთა რეიდის მასალებიდან)

თელავის აბრეშუმის ძაფსაღებ ფაბრიკაში შევხვდებით უყაირათობის, სახელმწიფო დოვლათისადმი გაუფრთხილებლობის, მანქანებისადმი უხამსი დამოკიდებულების შემთხვევებს.

ფაბრიკა ემზადებოდა იმისათვის, რომ პირველი დეკემბრიდან სტახანოვური ოცდღიური დაეწყო და ამით დაეძლია სამარცხვინო გარღვევები. ამ მიზნით სამკუთხედმა 30 ნოემბერი და 1 დეკემბერი ქვაბების, დიზელებისა და დაზგების შეკეთების დამკვრელ დღეებად გამოაცხადა. ამ საქმეში დასახმარებლად დირექციამ აბრეშუმის მრეწველობის სამმართველოდან გამოიწვია ინსტრუქტორ-მექანიკოსი ამხ. ზელიაევი, ეს ორი დღე ფაბრიკაში „მაქსიმალურად გამოიყენეს" და ყველაფერი „შეაკეთეს".

მოხდა ის, რომ მთელი ფაბრიკა „შეკეთების" მეორე დღეს „წვრილმანი მიზეზით" გაჩერდა 4 საათს, მესამე დღეს — 15 წუთს, მეოთხე დღეს — 25 წუთს.

რამ გამოიწვია გაჩერება?

იმან, რომ საქვაბე საამქროში ქვაბების შეკეთება ჩატარდა ინსტრუქციის დარღვევით, ქვაბები შეაკეთა არა ზეინკალმა — გამოცდილმა ოსტატმა, არამედ მჭედელმა ხოპოვმა, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც ამ საქმეზე მუშაობს. მაგრამ ეს შეკეთება შემდეგ ინჟინერსა და უფროს მექანიკოსს ხომ უნდა შეემოწმებინათ? აქ კი ასე როდი მოიქცნენ. ინჟინერმა ვანო ჩანტლაძემ და უფროსმა მექანიკოსმა ზ. ძულიაშვილმა შეკეთებული ქვაბები მხოლოდ გარედან დაათვალიერეს, მოიწონეს რემონტის ხარისხი და დაასკვნეს: „მიღებულ იქნას რემონტი კარგი ხარისხით".

ჩვენ მიერ ჩატარებულმა რეიდმა აღმოაჩინა, რომ ქვაბის დამცველი ქონები წესიერად არ მუშაობენ, სარქველში ორთქლი იპარება, ინსტრუქციით გათვალისწინებული წყლის ორი მიმწოდებლის ნაცვლად მუშაობს მხოლოდ ერთი.

ჩვენს შეკითხვაზე, თუ რატომ გაჩერდა ფაბრიკა, ცვლამგემ ამხ. არჩილ შიუკაშვილმა განაცხადა:

— როგორ, პირველი ხომ არ არის ფაბრიკის გაჩერება?

— როგორ გეხმარებიან ინჟინერ-მექანიკოსები?

— ისინი მოდიან, დაგვათვალიერებენ და წავლენ — გვიპასუხებს ამხ. შიუკაშვილი.

ასეთი მდგომარეობაა სამანქანო საამქროშიც. ძაფსაღებ საამქროში დადგმულია ტრანსმისია, რომლის ღერძს 4 კომპლექტი მოჰყავდა მოძრაობაში, ტრანსმისიის ღერძი დადგმის შემდეგ ოთხჯერ გატყდა. გატეხის მიზეზი ის იყო, რომ ღერძის ამწევუნარიანობა წინასწარ არ იქნა გათვალისწინებული და მემონტაჟეებმა რუხაძემ და ძულიაშვილმა თუმცა იცოდნენ, რომ ღერძი 4 კომპლექტს ვერ დასძრავდა, მაგრამ მაინც დადგეს და ფაბრიკის ნორმალური მუშაობაც შეფერხდა.

აღნიშნული მიზეზით ოქტომბერში გაცდენილი მუშ-საათების რაოდენობა უდრის: შკივის გატეხის გამო 128 საათს, ღვედის გაწყვეტით — 152 საათს, სულ ოქტომბერში ავარიებმა ფაბრიკა 304 საათით გააცდინა. ამან გამოიწვია აგრეთვე 25 კგრ. 260 გრ. გრეჟის დაკარგვა.

ნოემბერში ფაბრიკა ღვედის გაწყვეტის გამო 24 საათს გაცდა, საორთქლე ქვაბის ცუდად მუშაობით — 200 საათს. ამან წარმოებას დააკლო 228 კილო ძაფი. ფაბრიკაში არ არის ვენტილაცია, როგორც სპეციალისტები ამბობენ, ყინვებისა და თოვლის დროს ფაბრიკაში მოსალოდნელია მუშაობის შეფერხება. დირექცია ვენტილაციაზე თუმცა ფიქრობს, მაგრამ ცოტას აკეთებს. ხელმძღვანელები დღემდე თუნუქის უქონლობას იმიზეზებენ. ასეთივე მდგომარეობა დამხარისხებელ და საკონტროლო საამქროშიც. ამ საამქროში არ არის გათბობა. მუშებს მტვერში და სიცივეში უხდებათ მუშაობა.

ფაბრიკას არცერთი კვალიფიციური მონტიორი არა ჰყავს. გარდა ამისა, არ არის ღვედებისა და სხვა სათადარიგო ნაწილების მარაგი. ტექნიკურ და სამეურნეო ნაწილში გამეფებულია უპასუხისმგებლობა და უყაირათობა. ყოვლად შეუწყნარებელია ის მდგომარეობა, რომ აბრეშუმის პარკის ნარჩენები (ყაჭი) ნაგავივით იყრება. ნარჩენის ყოველი კილო 8 მანეთი ღირს, მაგრამ მას ორმოში ჰყრიან. დირექცია ამის გასამართლებლად იმ „საბუთს" იმიზეზებს, რომ აქაოდა ნარჩენების გადამამუშავებელი საამქრო არა გვაქვს მოწყობილიო.

კიდევ ერთი სამარცხვინო ამბავი. ფაბრიკაში 800 მუშიდან არცერთი არ არის სტახანოველი — ან როგორ უნდა გავხდეთ სტახანოველებად — ამბობს დამკვრელი მუშა ამხ. ბიძინაშვილი — როდესაც ფაბრიკა ყოველდღე რამდენიმე საათს ცდება, დილით, რომ მუშაობას ვიწყებთ, ყოველ წუთს გაჩერებას მოველით, ასეთ პირობებში განა შეიძლება მივაღწიოთ სტახანოველობას? როგორ არ უნდა ვუსაყვედურო ჩვენს დირექციას, — განაგრძობს ამხ. ბიძინაშვილი — როდესაც დიდი სტალინის მოხსენების ასაპასუხოდ ახალი ვალდებულებები ავიღე, მაგრამ ფაბრიკის ტექნიკური მდგომარეობა ამის შესრულების საშუალებას არ იძლევა.

მუშათა კულტურული და საყოფაცხოვრებო პირობებიც ვერ არის სახარბიელო. საერთო საცხოვრებლები შეუკეთებელია, სასადილო — მოუწყობელი, კლუბი არ არის. ფაბრიკაში 100 რუსი მუშაა, მაგრამ მათ შორის ინტერნაციონალურ მუშაობას არავინ ეწევა.

გამოირკვა აგრეთვე, რომ 1932 წლიდან დღემდე დირექციასა და ფაბკომს შორის არ ყოფილა, და არც ამჟამად არის, დადებული კოლექტიური ხელშეკრულება.

ჩვენ მოვითხოვთ: ფაბრიკაში შექმნილი მდგომარეობის გასაჯანსაღებლად საქმეში ჩაერიონ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები, კონკრეტული დამნაშავენი მიცემულ იქნან პასუხისგებაში, და ხელმძღვანელმა ორგანიზაციებმა ყველა ზომა მიიღონ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

რეიდის მონაწილენი: ზ. ფირანაშვილი, სტ. შიუკაშვილი, ნ. აპკაროვა, ფ. იარალოვი, ლ. ხიზანაშვილი, ქ. ცისკარიძე, ვ. ბაბოევი, არ. თვალიაშვილი, არჩ. კოკილაშვილი.

ლიმონ-მანდარინის ტრესტის კვირიკეს საბჭოთა მეურნეობაში (ქობულეთის რაიონი, აჭარა) ძვირფასი სუბტროპიკული მცენარეები საუკეთესოდ განვითარდნენ და მოსავალს იძლევიან.
სურათზე: დუნკანის ჯიშის გრეიფრუტის ნაყოფი.

ფოტო დიდიძისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

თათბირი საკოლმეურნეო საკითხებზე

ამ დღეებში მიწსახკომის ხელმძღვანელობით თბილისში შესდგა საქართველოს რაიმიწგანების გამგეთა, მტს-ების დირექტორებისა და საფინანსო დარგის წარმომადგენლების თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ აჭარის, აფხაზეთისა და სამხრეთ-ოსეთის სამიწათმოქმედო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც.

თათბირმა განიხილა 3 საკითხი: 1) კოლმეურნეობებში მე-3 კვარტალის ფინანსიური ანგარიშები და ნატურშემოსავალი (მომხსენებელი ამხ. შ. მათიკაშვილი), 2) ინვენტარიზაციის ორგანიზაცია და წლიური ანგარიშების შედგენა (ამხ. შ. ქელიძე), 3) შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა და საწარმოო ანგარიშები (ამხ. მატინოვი).

კამათში გამოვიდა 15 კაცი. გამოირკვა, რომ მთელ რიგ დიდ მიღწევებთან ერთად, რომლებიც არის ყველა რაიონში, მათ შორის საკოლმეურნეო მშენებლობის ყველა დარგში, ზოგიერთი რაიონი და ცალკეული კოლმეურნეობები ჯერ კიდევ სუსტად იბრძვიან სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების ურყევად შესრულებისათვის, ნაკლებად ზრუნავენ საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მე-5 პლენუმზე ამხ. ლ. ბერიას მიერ მოცემულ მითითებათა განსახორციელებლად.

გურჯაანის მიწგანმა კაბინეტში გადაასწორა კოლმეურნეობათა ხარჯთაღრიცხვები და ამით სანქცია მისცა გადახარჯვებს.

ყვარლისა და ბორჩალოს რაიონების კოლმეურნეობებში არის ასეთი შემთხვევაც — უკვე მთლიანად გაანაწილეს შემოსავალი დღემდე გამომუშავებულ შრომადღეებზე, ხოლო წლის ბოლომდე გამოსამუშავებელზე დასარიგებლად არაფერი დაიტოვეს.

გარდა ამისა, ზოგან კოლმეურნეობებში გამოჰყვეს ზედმეტი „თავისუფალი" ფონდები და ამით შეამცირეს შრომადღეებზე გასანაწილებელი საშუალებანი.

მთელ რიგ კოლმეურნეობებში კოლმეურნეებს არ უნაწილებენ ბორცს, სანოვაგეს, ღვინოს („შეისმებაო"). ზოგან შენახვაც მოუწესრიგებელია, გაყიდვაც არ ხდება ყურადღებითა და სათანადო მზრუნველობით — ხშირად საკოლმეურნეო პროდუქციის გადამყიდველები და საეჭვო პირები ეპატრონებიან.

სუსტია კონტროლიც. სარევიზიო კომისიები ყოველთვის საქმის კურსში უნდა იყვნენ, თვალყურს ადევნებდნენ სწორად იხარჯება თუ არა წესდებით გათვალისწინებული საშუალებები, არის თუ არა სათანადო ზრუნვა არტელის ქონების დაცვისათვის, აღმოფხვრილია თუ არა მტაცებლობა და გაფლანგვები, სრულდება თუ არა სახელმწიფო ვალდებულებანი და სხვ. ნაცვლად ამისა კი, ისინი ბევრ შემთხვევაში შეუმჩნეველნი არიან, მათ მოხსენებებსა და რჩევა-მითითებებს იშვიათად ისმენენ, მათ იშვიათად ეკითხებიან, ისინი ნაკლებად ესწრებიან კოლმეურნეობის გამგეობის კრებებზედაც.

ყვარლის, გურჯაანის და ზოგიერთი სხვა რაიონის კოლმეურნეობებში სარევიზიო კომისიები ხშირად არყის ქვაბების მუშაობას სდარაჯობენ, კოლმეურნეთა საყვედურებისათვის კი, რომ გამგეობები მეცხოველეობის პროდუქტებს ბევრს ჰყიდიან და შრომადღეებზე არ ანაწილებენ, ყურადღება არ მიუქცევიათ. მათ არც ის შეუმჩნევიათ, რომ ზოგ კოლმეურნეობაში შარშან გამოყოფილ სადაზღვევო ფონდის აღდგენის ნაცვლად, მას ხელახლა გამოჰყოფენ.

მახარაძის რაიონის მშვიდობიანის კოლმეურნეობამ ლობიოს განაწილებისას მხედველობაში არ მიიღო ცალკეულ კოლმეურნეთა მიერ გამომუშავებული შრომადღეები და მოსავალი თანაბრად გაანაწილა. ფამფალეთის კოლმეურნეობაში კი სიმინდის შეზრობის პროცენტად 25-ის ნაცვლად 50 დააწესეს (ეს შეცდომები ახლა გამოსწორებულია). სერიოზული შეცდომები იყო ფონდების ხარჯვაშიაც. გარდა ამისა, აქ ჩაის ფაბრიკები აგვიანებენ კოლმეურნეობებზე კუთვნილი თანხის გადმორიცხვას.

გორის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში ხარჯთაღრიცხვები ახლაც არ არის სწორი, ზუსტი. მათ დართული არა აქვს საბუთები, ახსნა-განმარტებები. ძარხევის კოლმეურნეობაში შარშანდელი შემოსავლიდან 3.400 მანეთი ახლაც გაუნაწილებელია. ამას გარდა, რაიონში თესლთაბრუნვა ზოგან ახლაც არ არის გატარებული.

აჭარაში ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ მანამდე არ დაიწყო შრომადღეებზე სიმინდის განაწილება, ვიდრე მოსავალი მთლიანად არ აიღო. ამიტომ სიმინდის ნაწილი დაულპათ. აქვე პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობაში საფინანსო გეგმაში შეიტანეს მოტორიანი წისქვილი, რომელიც არ მუშაობდა და არც ახლა მუშაობს.

დუშეთის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში ხარჯთაღრიცხვის საშემოსავლო ნაწილი ისე იყო გაბერილი, რომ ფაქტიურად ის არასოდეს არ სრულდებოდა.

თათბირმა დაწვრილებით განიხილა კოლმეურნეობებში ინვენტარიზაციის, წლიური ანგარიშების, შემოსავალ-გასავლის და საწარმოო ანგარიშების საკითხები. რაიმიწგანების უფროსებს, მტს-ების დირექტორებსა და საფინანსო დარგის მუშაკებს მიეთითათ, რომ ახლა მათ, სხვა გადაუდებელ სამუშაოებთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ინვენტარიზაციის ჩატარებას, საინვენტარიზაციო კომისიის საშუალებით გამოარკვიონ ქონებისა და ფასეულობის აღრიცხვის სისწორე, ფულადი სახსრები, ქონების ნაკლისი და სიჭარბე, დაწვრილებით, რაც შეიძლება ზუსტად შეამოწმონ კოლმეურნეებთან ანგარიშსწორება. მათ ევალებათ მთელი ქონება შეამოწმონ უშუალოდ ადგილზე და ამ საქმეში მონაწილეობა მიაღებინონ ბრიგადირებს, მოლარეს, საკუჭნაოს გამგეს, იმ პირსაც, რომელიც უშუალოდ „პასუხისმგებელია იმ ქონებაზე ან ფასეულობაზე, რომლის შემოწმებაც მიმდინარეობს".

რაიონების წარმომადგენლებს მიეთითათ — მიიღონ გადამჭრელი ზომები ინვენტარიზაციის 1 იანვრისათვის დასამთავრებლად, ამ დროიდან შეუდგნენ წლიური ანგარიშების შედგენას და სხვ.

ტ. თ.

ხალხური შემოქმედება

სიმღერა სტალინზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ შენი დიდის ქვეყნის
ვინაც გამიდგა ნაწყენი,
ვინც თავის კალთით გაზარდა
ბელადი შენისთანა,
შენ მოუვლია [illegible]
შეიქმნება [illegible] ხანათ,
თუ მტერმა რამე გაბედა,
შენთვის მოვკვდებით თანაც!
ჩვენი სოფელიც ავყავდა
შენით, ძვირფასო ბელადო!
წინ შენი სახე მიგვიძღვის,
როდესაც მივალთ ველადო.
გავიცამტვერეთ, ვინც იყო
ჩვენში ორგული, ფლიდი,
არტელში ძმობა ვიცით,
შრომაში ერთად მივდიან,
აგვიგეთ სკოლა, თეატრი
და მდინარეზე ხიდიც.
დღეს ჩემი ოდის კედელი
სასახლესავით დიდია,
ოთახში ელნათური და
შენი სურათი ჰკიდია.

○

მშრომელო ხალხის იმედო
და მზეო ამოსავალო,
თუ ფეხით დავეთრეოდი,
დღეს ავტობუსით დავალ!
წინათ ჭვარტლიან ქოხებში
ჭრაქმა დაგვიწვა თვალები.
დღეს ელექტრონი მოვიდა,
გაფანტა ნაპერწკალები,
შენს უერთგულეს მოწაფეს
ბერიას ვენაცვალები,
შენი თქმის შესასრულებლად
აღარ დაზოგა ძალები;
თქვენით ხარობენ ამ სოფლის
კაცი, ბავშვი და ქალები,
შეწყობილი ვართ ერთმანეთს,
როგორც ჩონგურის ლარები.

○

როგორ გადიდო, როგორ გმღერდე
შენი სადარი ლექსები,
რომ შენთა იყოს ცოცხალი
უთუოდ დავეხსნები.
სასიყვარულო გრძნობები
შენდამი, ჩვენო ბელადო,
ისე ღრმად არის ჩვენს გულში,
როგორც რომ ძელქვის ფესვები.
მე სამოცი წლის კაცი ვარ,
თითქოს მიწვია სიბერემ,
მაგრამ მე ისევ ჯანზე ვარ,
მეც მიყვარს სიმღერა,
მე ყმაწვილობას ეხლა ვგრძნობ,
მე ეხლა მერჩის გულით,
შენზე ლექსებსაც ვიმღერ,
დარჩება ჩემი თქმული.
მოვხუცდი, მაგრამ ეს გული
კვლავ გადამექცა ახალად,
აწი რომც მოვკვდე არ ვჩივი
რაკი მოვესწარ ამ ხანას,
გულით სიცოცხლეს გისურვებ
ბელადს, ბრძენსა და ამხანაგს!

მთქმელი კოლმეურნე ლ. თევზაძე
სოფ. გომი — სამტრედიის რაიონი

ქართული ხელოვნების დეკადა მოსკოვში

1937 წლის იანვრის პირველ რიცხვებში საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის დედაქალაქში — მოსკოვში დაიწყება ქართული ხელოვნების დეკადა.

მოსკოვის მშრომელნი უკვე იცნობენ ქართულ ხელოვნებას ამ წლის აგვისტოში რუსთაველის სახელობის თეატრის გასტროლებით, რომლებიც, როგორც ვიცით, დამთავრდა თეატრის დაჯილდოვებით სსრ კავშირის უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით.

ამჯერად მოსკოვის მაყურებელს უჩვენებენ ქართული ოპერისა და ქართული ხალხური შემოქმედების მიღწევებს.

მოსკოვში ქართული ხელოვნების დეკადაზე მიემგზავრებიან ოპერისა და ბალეტის თბილისის სახელმწიფო თეატრი სრული შემადგენლობით, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიული გუნდები ხალხური ინსტრუმენტების ანსამბლით და სახელმწიფო ვოკალური კვარტეტი.

საოპერო თეატრის კოლექტივი — სოლისტები, ორკესტრი, გუნდი და ბალეტი — მოსკოვს მიემგზავრება 29 დეკემბერს.

თბილისის ოპერას გამოსასვლელად დაეთმობა ოპერისა და ბალეტის მოსკოვის დიდი აკადემიური თეატრი. პირველი სპექტაკლი გათვალისწინებული აქვთ აჩვენონ 1937 წლის 4 იანვარს.

თეატრი მოსკოვში აჩვენებს კლასიკურ ოპერებს: „დაისი" და „აბესალომ და ეთერი" კომპოზიტორ ზ. ფალიაშვილისა, „დარეჯან ცბიერი" — კომპოზიტორ მელიტონ ბალანჩივაძისა, კომიკური ოპერა „ქეთო და კოტე" — კომპოზიტორ ვ. დოლიძისა და ქართული ბალეტი „მზეჭაბუკი" კომპოზიტორ ანდრია ბალანჩივაძისა, პოეტ გიორგი ლეონიძის ლიბრეტოს მიხედვით. თითეული ოპერა ახლად არის დადგმული. დადგმაში ჩაბმულია საუკეთესო სარეჟისორო და სამხატვრო ძალები. „აბესალომი და ეთერი" დასდგა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ რეჟისორმა შ. აღსაბაძემ, გააფორმა მხატვარმა, ორდენოსანმა ი. გამრეკელმა. „დაისის" ახალი დადგმა ეკუთვნის სახალხო არტისტს ალ. წუწუნავას, მხატვრული გაფორმება — მხატვარ ს. ვირსალაძისა. „ქეთო და კოტეს" სდგამს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ქ. პატარიძე, გაფორმება — მხატვრის პროფ. ლ. გუდიაშვილისა. „დარეჯან ცბიერს" სდგამს სახალხო არტისტი ა. წუწუნავა, მხატვარი — ს. ქობულაძე. ბალეტ „მზეჭაბუკს" სდგამს ვახტანგ ჭაბუკიანი. დეკორაციებს სწერს მხატვარი ს. ვირსალაძე.

წელს თეატრის ორკესტრი გადიდებულია 110 კაცამდე; ორკესტრს ხელმძღვანელობს ნიჭიერი დირიჟორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ე. მიქელაძე. გუნდი გადიდებულია 135 კაცამდე; გუნდს მეთაურობს ხორმეისტერი კაპულსკი. მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია აგრეთვე ბალეტმა, რომელიც გადიდებულია 90 კაცამდე და მუშაობს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დ. ლ. ჯავრიშვილის ხელმძღვანელობით.

მოსკოვში ყველა ოპერა და ბალეტი ნაჩვენები იქნება საკუთარი დეკორაციებით, რომლებიც მოამზადეს თეატრის სახელოსნოებმა.

მოსკოვს მიემგზავრებიან აგრეთვე სახელმწიფო ეთნოგრაფიული გუნდები: აღმოსავლეთ საქართველოს გუნდი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ა. გ. კავსაძის ხელმძღვანელობით, გუნდში შედის 100 კაცი, და — დასავლეთ საქართველოს გუნდი კ. ნ. პაჭკორიას ხელმძღვანელობით, გუნდის შემადგენლობაში შედის მეჩონგურეთა ანსამბლი ა. მეგრელიძის ხელმძღვანელობით — სულ 120 კაცი.

გუნდებთან ერთად მოსკოვს მიემგზავრებიან ქართული ხალხური სიმღერებისა და ცეკვის საუკეთესო შემსრულებელნი, აფხაზეთისა და სვანეთის მოცეკვავენი.

მოსკოვს მიემგზავრება აგრეთვე სახელმწიფო ვოკალური კვარტეტი შემდეგი შემადგენლობით: გერმესაშვილი, ბეჟაია, ცირღილაძე, კუხიანიძე.

გუნდებისა და მოცეკვავეთა გამოსვლები შესრულდება შემდეგი ხალხური ინსტრუმენტების დაკვრით: ჩონგური, ფანდური, დუდუკი, დოლი, სტვირი, ჩანგი, ჭიანური, დაირა.

გუნდების რეპერტუარში შეტანილია ხალხური სიმღერები — ყოფაცხოვრების, ჩვეულების, მგზავრული (გურიის, სამეგრელოს, კახეთის, სვანეთის, აფხაზეთის, აჭარისა და სხვ.). დიდ ინტერესს წარმოადგენს სიმღერები ხალხთა დიდ ბელად სტალინზე; ეს სიმღერები დასწერეს ქართველმა კომპოზიტორებმა — ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, ორდენოსანმა ი. ტუსკიამ, გ. კილაძემ, გ. კოკელაძემ, რ. გაბიჩვაძემ. გუნდების რეპერტუარში შედის აგრეთვე ხალხური სიმღერები სტალინზე.

ამ სიმღერებს შეასრულებს ორივე გუნდი.

მოსკოვში გუნდის ანსამბლები გამოვლენ ხალხური შემოქმედების თეატრში, აგრეთვე კულტურის სახლებსა და კლუბებში. გუნდების საბოლოო საღამო გაიმართება ოპერისა და ბალეტის დიდ აკადემიურ თეატრში (საქდესი).

რაიონებში

პირუტყვს კარგი ბინა და ნოყიერი საკვები.

უკანასკნელ წლებში დუშეთის რაიონში მესაქონლეობა სწრაფად იზრდება და ვითარდება. ნამატის 100 პროცენტით შენარჩუნება, პირუტყვის სამაგალითო მოვლა უკვე თითქმის ყველგან ჩვეულებრივი მოვლენაა. ჯერ კიდევ მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის დამახურის, გუდამაყრის და მლეთის სას. საბჭოში მსხვილფეხა რქოსანი საქონელი იყო 10.259 სული, ცხვარი და თხა — 42.048, ცხენი — 940. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია დიდად ამტანი და შემოსავლიანი ხევსურული ჯიშის ძროხა და თუშური ცხვარი.

ყოველივე ეს მთიულეთის კოლმეურნეობებში, მთელ მშრომელ მოსახლეობაში დიდი ყურადღებისა და ზრუნვის საგნად არის გადაქცეული, ახლა პირველ რიგში დასმულია პირუტყვის საზამთრო ბინებით და ნოყიერი საკვებით უზრუნველყოფის ამოცანა.

ზრ. მთიულიშვილი.

○

ჰირილა და არახისი კოლმეურნეობებში.

ქუთაისის რაიონის სოფელ ქვემოსიმონეთის ლენინისა და რემედის სახელობის კოლმეურნეობებმა წელს არახისი (მიწის თხილი) 70 ჰექტარზე დათესეს და შედეგიც კარგი მიიღეს — 6 ცენტნერის ნაცვლად ჰექტარზე 8,5 ცენტნერი მოსავალი მიიღეს.

მეორე წელია ამ რაიონში აშენებენ ძვირფას მცენარე ჰირილას. მე-17 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობამ ჰირილა 4 ჰექტარზე დათესა და 1 ცენტნერის ნაცვლად ჰექტარზე 2,5 ცენტნერი მოსავალი მიიღო.

მიხ. ზურაბიძე.

ბის დამწერლობის მეზობლად უნდა ვეძიოთ, მაშინ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ჩვენი ასოების სახელები. მეორე ასოს სახელი „ბან", მაგ., შესაძლებელია სწორედ იმავე ასოს სემიტურ სახელის „ბეთ" ზუსტი მნიშვნელობითი შესატყვისობა იყოს: სემიტური „ბეთ" ნიშნავს „სახლს", ისევე როგორც ქართული „ბანი" (აქედანაა „[illegible]ბანი", მეგრული „დაბა", „[illegible]" მნიშვნელობით და „ბანი"), ანუ „ვანი". მაგრამ მსგავსი ალფაბეტური დამწერლობა შეიძლებოდა მხოლოდ განვითარების გარკვეულ საფეხურზე აღმოჩენილიყო, მანამდე მცირე აზიაში მცხოვრებ ქართველ ტომებსაც ხატოვანი და ლურსმული დამწერლობა უნდა ეხმარათ. ამ მხრით უაღრესად საყურადღებოა ქართული ტერმინი „წერა": [illegible] თავდაპირველად „ჭრას", „კვეთას" ნიშნავს; აქედანაა „წერაქვი", ე. ი. ქვის საჭრელი, საკვეთი; „წერა" ჭრის მნიშვნელობით („მიწის ჭრა, კვეთა") მთაში (პროფ. აკ. შანიძის ცნობით) და „წერეული" — „ყანის ნაკრეფი, შეკონილი" (სულხან-საბა), „საწერელი", ე. ი. მჭრელი, მჭრელი, ერთგვარი თითის [illegible] და სხვ. „წერის" ყოფილ [illegible] ეტიმოლოგიას ადასტურებს და წერასთან დაკავშირებულ მეორე მნიშვნელოვან ტერმინის წარმოშობას გვიხსნის „წერტილი", „წერტა" ზმნისაგან ნაწარმოები. „წერტაც" ხომ ჩხვლეტას, ამოკვეთას, ჩაჭრას ნიშნავს. მაშასადამე, ორივე ტერმინი იმ ხანისაა, როცა წერა რეალურად იყო რაიმე მაგარ მასალაზე (ქვაზე, თიხის დაფაზე, ლითონზე) ამოჭრა, ამოკვეთის პროცესი.

ჩვენ გვგონია, რომ ქართველთა ტომებმა თავის უძველეს სამშობლოდან ამიერ-კავკასიაში მოიტანეს არა მარტო ეს ტერმინები, არამედ თვით სათანადო დამწერლობაც. თუ ჩვენ, მაგ. ჩავუკვირდებით იმ სვანურ დაფებს, რომელიც შეგროვებულია ახალგაზრდა ეთნოგრაფის, რეს. ხარაძის მიერ, [illegible] აღვნიშნოთ, რომ აქ ჩვენ გვაქვს სწორედ ლურსმული დამწერლობის ნიშნები, რომელთაც პირვანდელი ფუნქცია, [illegible], დაკარგული აქვთ, მაგრამ თავისი გარეგანი სახე სავსებით შერჩენიათ. ასეთივე წარმოშობისაა, ალბათ, ქართული (მაგ. ხევსურული) ორნამენტის ზოგი სახეები. დოც. გ. ჩიტაიას დაკვირვებით, ხატოვან დამწერლობასთან კავშირში უნდა იმყოფებოდეს აგრეთვე საყურადღებო აჭარული გვაროვნული საკუთრების ნიშნები, რომლებიც შეგროვებულია ეთნოგრაფის ვ. ბარდაველიძის მიერ.

ქართველ ტომთა მემკვიდრეობითი კავშირი წინა აზიის უძველეს მოსახლეობასთან მჟღავნდება ყველა დარგში. სოციალურ სფეროში, მაგ., ყურადღებას იქცევს უძველესი ტერმინი „მონა". მას ჩვეულებრივად ირანულიდან ნასესხებ სიტყვად სთვლიან, მაგრამ არავის არ უჩვენებია დამარწმუნებლად, რანაირად იქცა ირანული „მანია" — „მონა"-დ. შემდეგ, ის გარემოება, რომ ირანთან ქართველებზე უფრო ახლო მცხოვრები ხალხებისათვის, მაგ., სომხებისათვის, ეს ტერმინი სრულიად უცნობია, კატეგორიულად უარყოფს ამ სიტყვის ირანულობას, ამავე დროს სტრაბონისაგან ვიცით, რომ კუნძულ კრეტაზე მონურ მდგომარეობაში მყოფი საზოგადოებრივი წრე „მნოას"-ს სახელწოდებას ატარებდა. უაღრესად დამახასიათებელია, რომ ეს ტერმინი შეინახა მხოლოდ ამ ორ ქვეყანაში და თვით ფაქტი უეჭველად მიუთითებს იმაზე, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს ერთისადაიმავე ეპოქისა და საზოგადოების შინაგანად დაკავშირებულ ნაწილებთან. კრეტასთან ქართველ ტომებს მრავალი სხვა ძაფიც აკავშირებს.

რელიგიის სფეროში ჩვენ ვხვდებით ასეთსავე ნიშნებს. უძველესი ხეთური ქუხილ-ქუხილის ღმერთი იწოდება „ტარო", რაც უეჭველია შენახულია ქართულ „ტაროსში". ტაროსი, ამინდი, ხომ ქუხილ-ქუხილის ღმერთზე მიაჩნდათ დამოკიდებულად. მთვარის კულტი განსაკუთრებული გავრცელებით სარგებლობს როგორც ქართველ ტომებში, ისე მცირე აზიასა და მესოპოტამიაში. წინა აზიის უძველესი ღმერთქალის სახელი — **ნანა, ნინი, ინა** შენახულია უძველესი ქართული კერპის სახელში **აინინა** და შემდეგ იგი ქალის ერთერთ სახელადაც იქცა (ნინო, ნანა). სხვა ფაქტებიც მრავალია. ჩვენ მათზე ეხლა ვერ შევჩერდებით.

უაღრესად საყურადღებო ფაქტებს გვაძლევს ხელოვნება და ხუროთმოძღვრება. მეცნიერებაში დადასტურებულად მიაჩნიათ, რომ კლდის ხელოვნური დამუშავების, მასში დარბაზების, სამარხების და სხვ. ოსტატური გამოკვეთის ცენტრი არის ხატების ქვეყანა. აქედან ეს ხელოვნება შემდეგ გადადის ვანელი ქალდების ქვეყანაში, ურარტუში. იმავე ხელოვნების ჭეშმარიტი წარმომადგენლებია საქართველოს შესანიშნავი ძეგლები, როგორიცაა მაგ. უფლისციხე, ვარძია და სხვ. ტყუილად კი არ შეინახეს ქართველმა ტომებმა სათანადო ყველაზე საჭირო იარაღის, **წერაქვის**, სახელი ამ უძველესი ფორმით.

კლდის ასეთი კვეთა განვითარებულ მეტალურგიას გულისხმობს, ამ მხრივ ხომ ცნობილია საყოველთაოდ, რომ ქართველი ტომები და მათი წინაპრები საუკეთესო მეტალურგებად ითვლებოდნენ. სულ უკანასკნელ ხანებში გამოირკვა ერთი უაღრესად საყურადღებო ამბავი: შესანიშნავი ბრინჯაოს კულტურა, რომელსაც წინათ კობანის კულტურას ეძახდნენ, ნამდვილად დასავლეთ საქართველოს, კოლხეთის, საკუთარი კულტურა ყოფილა, და რომ ეს კულტურა ვრცელდებოდა თვით მცირე აზიაშიც. აქაც უეჭველი ხდება სათანადო კავშირები და მემკვიდრეობა. უაღრესად მნიშვნელოვანი გარემოებაა ისიც, რომ წინა აზიის ყველა ძველი მდიდარი მადანი და სათანადო მაღაროები სწორედ ხეთის ტერიტორიაზე იმყოფებოდა.

საქართველოს უძველეს არქეოლოგიურსა და ხალხური შემოქმედების ძეგლებში ჩვენ ვხვდებით მოტივებს, რომლებიც ამჟღავნებენ ახლო კავშირს წინა აზიასთან, კერძოდ, ხეთურ ხელოვნებასთან. ასეთია მაგ. ქართული ჩუქურთმის ზოგიერთი სახეები. ამას გარდა, ზოგჯერ თავს იჩენს სრულიად მოულოდნელი შეხვედრები. მაგ. ხეთების უმთავრესი ქალ-ღმერთი და მისი შვილი ჩვეულებრივად ვეფხვზე მდგომარე არიან გამოსახულნი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ტრადიციის ნიადაგზე აღმოცენდა რუსთაველის შესანიშნავი სახე, [illegible] ვეფხვი და მისი ტყავი, რომელიც ტარიელისთვის სახეა მისი მიჯნურისა, ეს უკანასკნელი კიდევ მზე-ღმერთის წილად არის მიჩნეული.

ეხლა თუ წინა აზიის ისტორიას მივმართავთ, იქ ვნახავთ ჩვენი აზრის დამამტკიცებელ საბუთებს, თუმცა ჯერ მასალა მცირეა მოპოვებული. ძველი წინა აზიის ტერიტორია უძველეს ხანაში დასახლებულია ისეთი ხალხებით, რომელთაც არა აქვთ არავითარი კავშირი არც ინდო-ევროპელებთან, არც სემიტებთან, არც თურქულ-მონღოლურ ტომებთან. ყველაზე მნიშვნელოვანნი წინა აზიის ამ უძველეს ხალხთაგან არიან სუმერები, ხატები ანუ ხეტები, მიტანიელები, ურარტუს (ვანის) ქალდები და სხვები. სწორედ ამ ხალხებმა შექმნეს კაცობრიობის უძველესი კულტურული კერა. სუმერებმა შექმნეს, მაგ., პირველად ისტორიაში ლურსმული დამწერლობა, რომელიც მათგან შემდეგში შეითვისეს ბაბილონელებმა. ხატებს, ხალიბებს და სხვ. განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით ლითონის დამუშავებაში. აქვე ხდება მრავალი დღევანდელი კულტურული მცენარის პირველი „მოშინაურება" და სხვ. შემდეგ ეს ხალხები თითქოს ქრებიან, ნუთუ უკვალოდ? რა თქმა უნდა, არა. სხვა ტომების მოწოლის გამო ისინი იცვლიდნენ ტერიტორიას და ახალ-ახალ კერებს ქმნიდნენ. ყველაზე სამხრეთით მდებარე რაიონებიდან მათ ამოიწიეს მცირე აზიასა და მესოპოტამიაში, აქედან შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროებსა და ვანის ტბის რაიონში, იქიდან კიდევ თანამედროვე ამიერ-კავკასიაში. სატომო სახელების ისტორია ამ მხრივ დიდად საყურადღებო მასალას შეიცავს.

საფიქრებელია, რომ კავშირი არსებობს ხატების, ხალდების, ანუ ქალდების, ხალიბების სახელებს შორის. ძველი ბერძენი მწერლები პირდაპირ ამბობენ, რომ ხალდები წინად ხალიბებად იწოდებოდნენო. შემდეგ საყურადღებოა, რომ ხალდები ცხოვრობდნენ როგორც შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე, ისე ვანის ტბის გარშემო. ცხადია, ეს ერთი ხალხის ორი შტო უნდა იყოს.

ასევე საყურადღებოა ასურულ წარწერებში მოხსენებულ მუსკებისა და კასკების სახელები. მუსკები არიან მერმინდელი მოსხები ან მესხები, კასკები კიდევ კოლხები, როგორც ეს აღნიშნულია უკვე პროფ. ივ. ჯავახიშვილის მიერ.

შემდეგ ჩვენ ვხედავთ უაღრესად საყურადღებო ფაქტს, რომ ამ სახელების უმრავლესობა თავს იყრის სწორედ საქართველოს დღევანდელ ტერიტორიაზე.

მესხებისა და კოლხების ამბავი ყველასათვის ცნობილია. ფრიად სარწმუნოა იბერების კავშირი ტიბარენებთან და ტაბალითობალთან. ასევე საფიქრებელია, რომ ტერმინი „ქართველი" დაკავშირებულია ქალდ — თან და, მისი მეშვეობით, სხვა ამავე ძირის წინა აზიურ უძველეს სახელებთან. აქ უნდა მოვიგონოთ უძველესი ქართული ტერმინი „ხატი". ხევსურები უახლოეს ხანამდეც ამ სიტყვას ხმარობდნენ საერთოდ „ღვთაების", „კერპის", „ჯვარის" მნიშვნელობით. იგი დაკავშირებული უნდა იყოს ურარტუს მოსახლეობის მთავარი ღვთაების, ხალდის, სახელთან.

ცხადია, რომ ყოველივე ეს მოტანილია ქართველ ტომების მიერ მათი უწინდელი სამშობლოდან, სადაც მათ აგრეთვე დასტოვეს თავისი ნაკვალევი. მცირე აზიაში ერთი ტბის თანამედროვე თურქული სახელია **აჯი-გიოლ**, მისი უძველესი სახელი კი არის **ტობადა**. პროფ. აკ. შანიძემ სავსებით სამართლიანად შენიშნა, რომ „ტობადა" შეიცავს იმავე მეგრულ-ქართულ სიტყვას ტობას, რაც ტბას ნიშნავს (თურქ. გიოლ-ტბა!). ასეთი ფაქტი მრავალია.

საქართველოში დაცულია გეოგრაფიული სახელების მრავალი დაბოლოება, რომელნიც იმეორებენ წინა აზიის გეოგრაფიული სახელების დაბოლოებებს (შდრ. თბილისი-ბითლისი და მრავალი სხვ.).

პროფ. ჰროზნი, დას. ევროპის სხვა ორიენტალისტებთან ერთად, აკეთებს სერიოზულ საქმეს, როცა აგროვებს და აქვეყნებს წინა-აზიის უძველესი მოსახლეობის კულტურისა და ენების მრავალრიცხოვან ფაქტებს. მაგრამ, როგორც ვნახეთ, ამ მკვლევართა განზოგადებანი და დასკვნები, უმეტესწილად, არ არის დამარწმუნებელი. ამ ფაქტების ახსნა, წინა-აზიის და კერძოდ მცირე აზიის უძველესი ხალხების ენების, კულტურისა და, საერთოდ, ისტორიული წარსულის მეცნიერული გაშუქება შეუძლებელია ქართველ ტომთა კულტურის ისტორიის შესწავლის გარეშე, ქართულ, მეგრულ-ჭანურ და სვანურ ენების შესწავლის გარეშე.

◆

★ სტალინირის აეროკლუბის საფრენოსნო სკოლის კურსანტები ამხ. ფ. მახარაძესთან

ფოტო — ჩ. აკოფოვისა

სამხრეთ-ოსეთის მომავალი მფრინავები ამხ. ფ. მახარაძესთან

თბილისში ჩამოვიდა სამხრეთ-ოსეთის დელეგაცია — სტალინირის აეროკლუბის საფრენოსნო სკოლის კურსანტთა საუკეთესო ჯგუფი, რომელსაც მეთაურობს სტალინირის აეროკლუბის უფროსი ამხ. სტ. სამხიევი. თბილისის აეროკლუბის მუშაობასთან გაცნობის შემდეგ ჯგუფი ესტუმრა საქ. თავდაცვა-ავიაქიმის საბჭოს თავმჯდომარეს, დივიზიის მეთაურს ამხ. ვ. ჯორჯაძეს, ხოლო შემდეგ გაემგზავრა მთავრობის სასახლეში, სადაც დანიშნული იყო მთელი ჯგუფის მიღება ამხ. ფ. მახარაძესთან. მიღება შესდგა ნაშუადღევს და მას დაესწრნენ: თბილისში ჩამოსული სტალინირელ კურსანტთა მთელი შემადგენლობა, სამხრეთ-ოსეთის ცაკის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. საგო ორჯონიკიძე, თავდაცვა-ავიაქიმის ავიაციის უფროსი ამხ. ა. ოდიშარია და პრესის წარმომადგენლები.

ჯგუფის მეთაურმა ამხ. სტ. სამხიევმა ამხ. ფილიპე მახარაძეს წარუდგინა კურსანტები და გააცნო სტალინირის აეროკლუბის მიღწევები. შემდეგ ამხ. მახარაძე სიტყვებით მიმართავს მომავალ მფრინავებს, სტალინირის სავიაციო სკოლის კურსანტებს, რომლებიც წარმატებით მოუწყვეტლივ სწავლობენ საავიაციო საქმეს — ამხ. ნადეჟდა ჯიკაევამ, მანანა და ეკატერინე ტიბილოვებმა, ეკიმ გაგლოევმა, მიხეილ ლისინგამ და კოლოევმა.

— მეწინავეების მოწოდებამ, — განაცხადეს კურსანტებმა, — ჩვენში უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია, მზად ვართ ყოველმხრივ დავეხმაროთ ჩვენს აეროკლუბებს, რომ მათ უმოკლეს დროის განმავლობაში შესძლონ მეწინავეთა წინადადების განხორციელება და ჩვენს ქვეყანას მისცენ 150.000 მფრინავი. გაზეთებიდან გავიგეთ, რომ გერმანელი ფაშისტები შეუდგნენ მუშაობას 70.000 ახალი მფრინავის მოსამზადებლად. გვესმის და ვიცით, რომ პირისპირ ფაშიზმს ხელსაყრელ მომენტში მთელი ძალით ესხმის სოციალიზმის ქვეყნის წინააღმდეგ, მაგრამ დაე იცოდნენ, რომ მათ მფრინავებს საქმე ექნებათ რიცხვით მეტ და მომზადებით უკეთეს მფრინავთა არმიასთან, სტალინური თაობის ახალგაზრდა პილოტებთან.

შემდეგ კურსანტებმა განაცხადეს, რომ სტალინირის აეროკლუბი კისრულობს ვადაზე ადრე და საუკეთესო ხარისხით მოამზადოს მფრინავთა კადრები, რისთვისაც შეჯიბრებაში იწვევს სოხუმისა და გორის აეროკლუბებს.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე ამხ. საგო ორჯონიკიძე და ა. ოდიშარია.

საპასუხო სიტყვაში ამხ. მახარაძემ მადლობა გადაუხადა სტალინირის აეროკლუბის ხელმძღვანელობას სწავლის მაღალ დონეზე დაყენებისათვის და შეჰპირდა მათ მთავრობის დახმარებას სტალინირის აეროკლუბის შემდგომი მუშაობის გაშლისათვის.

პუშკინის კომიტეტის სხდომა

19 დეკემბერს ამხ. ფ. მახარაძის თავმჯდომარეობით შედგა პუშკინის საიუბილეო რესპუბლიკური კომიტეტის რიგითი სხდომა, რომელზედაც მოსმენილ იქნა საიუბილეო დღესასწაულის მზადების ხაზით კომისიის საანგარიშო მოხსენებანი.

განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული საიუბილეო კომისიის სახელით მოხსენებით გამოვიდა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. პარმენ აგიაძე.

სკოლებში პუშკინის საიუბილეო დღეებისათვის მზადება დამაკმაყოფილებლადაა გაშლილი. ყველა სკოლასთან შექმნილია საიუბილეო კომისია. სკოლებში აწყობენ დიდი რუსი პოეტის შემოქმედებისა და ცხოვრების შემსწავლელ წრეებს, ცხადდება შეჯიბრება პუშკინის ნაწარმოებთა უკეთ შესწავლაზე, სურათების დახატვაზე და სხვ. საიუბილეო დღეების აღსანიშნავად სკოლებში მოეწყობა აუცილებლად საღამოები. 1937 წელს, პუშკინის საიუბილეო დღეებთან დაკავშირებით, განათლების ინიციატივით გამოცემული იქნება პუშკინის რჩეული ნაწარმოებნი ქართულ ენაზე. ეს ნაწარმოებნი („ევგენი ონეგინი", „კაპიტანის ქალიშვილი", „პეტრე დიდის არაბი" და სხვ.) გამოიცემა სპეციალურად სასკოლო ბიბლიოთეკებისათვის.

საგამოფენო კომისიის სახელით კომიტეტის სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა პოეტი ტიციან ტაბიძე. მან განაცხადა, რომ პუშკინის საიუბილეო გამოფენის მოწყობისათვის მზადება წარმატებით მიმდინარეობს. დაგროვილია დიდძალი მეტად საინტერესო ექსპონატები, რომლებიც ასახავენ პუშკინის ყოფნას საქართველოში. გარდა ამ ექსპონატებისა, ახლო ხანში მოსკოვიდან მოელიან კიდევ ახალ მასალებს, რომლებითაც შეივსება ეს გამოფენა. გამოფენა მოეწყობა საქართველოს მუზეუმის დიდ დარბაზში.

საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორმა ამხ. ბ. ბიბინეიშვილმა კომიტეტს გააცნო ბიბლიოთეკის გეგმა, რომელიც დასახული აქვს საჯარო ბიბლიოთეკას პუშკინის იუბილეის აღსანიშნავად. საიუბილეო დღეებში საჯარო ბიბლიოთეკა მოაწყობს პუშკინის ნაწარმოებთა გამოფენას საბჭოთა კავშირის ხალხთა 32 ენაზე.

ახალი კრებულის — „პუშკინი საქართველოში" გამოცემისათვის მზადების შესახებ მოხსენება გააკეთა პროფ. ს. დანელიამ. მან განაცხადა, რომ კრებულის შესადგენად მიწვეული არიან კომპოზიტორი დ. არაყიშვილი, გ. კოტეტიშვილი, პ. ახვლედიანი, ი. ბალანჩივაძე, ლ. ასათიანი, გ. ლეონიძე, ი. ენიკოლოპოვი, ა. გრიშაშვილი და სხვ.

შემდეგ მოსმენილ იქნა საინფორმაციო მოხსენებები თეატრების მზადების შესახებ. მარჯანიშვილის თეატრიდან მოხსენებით გამოვიდა დამსახურებული არტისტი დოდო ანთაძე, მოზარდ მაყურებელთა თეატრიდან — ა. თაყაიშვილი, მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრიდან — [illegible] და სომხური დრამიდან — ამხ. რ. მელიანი.

საქართველოს მწერალთა კავშირის მიერ დაწყებული მზადების შესახებ მოხსენება გააკეთა პოეტმა გ. [illegible]. პუშკინის საიუბილეო დღეებისათვის მწერალთა კავშირის მზადება შედგა 1935 წლიდან; მოეწყო საღამოები პუშკინის ნაწარმოებთა საპოპულარიზაციოდ. ჩამოყალიბდა წრეები ფაბრიკა-ქარხნებთან და კოლმეურნეობებთან პუშკინის შემოქმედების შესასწავლად.

◇

აღწერისათვის მზად არიან

ცხაკაიას რაიონში მოსახლეობის საყოველთაო აღწერისათვის ყველა მოსამზადებელი სამუშაოები შესრულდა 2 დღით ვადაზე ადრე — 20 დეკემბრის ნაცვლად 18 დეკემბერს.

უკვე შერჩეული და მომზადებულია აღმწერთა მთელი პერსონალი (ინსტრუქტორები, კონტროლიორები და სხვ.). შედგენილია აღმწერთა დამხმარე ბრიგადები, საკითხი მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მნიშვნელობისა და ამოცანების შესახებ დამუშავებულია მთელ მოსახლეობაში, რაიონი უკვე დაყოფილია სააღწერო უბნებად. მზად არის აღწერისათვის საჭირო ყველა ფურცელი და ბლანკები.

31 დეკემბერს თითოეული აღმწერი გამოცხადდება მასზე გაპიროვნებულ სააღწერო უბანზე და მოსახლეობას ერთხელ კიდევ გაუწევს კონსულტაციას სააღწერო ფურცლის შევსების შესახებ.

აღწერის სანიმუშოდ ჩატარების მიზნით სოცშეჯიბრებაში გამოწვეულია მახარაძის რაიონი. ამჟამად, ცხაკაიას რაიონი აღწერისათვის მზად არის.

○ ◇ ○

დისკუსია „ლაშაური საღამოებზე"

მწერალთა სასახლეში გაიმართა დისკუსია რაჟდენ გვეტაძის ახალ წიგნზე „ლაშაური საღამოები". ორდენოსანმა მწერალმა მ. ჯავახიშვილმა თავის ვრცელ მოხსენებაში დაწვრილებით გაარკვია რ. გვეტაძის ნაყოფიერი მუშაობა მხატვრული პროზის დარგში.

— მწერალმა რ. გვეტაძემ „თეთრი" და „ჰიპოკრიტით" დაგვანახვა, რომ მას საკმაო დაკვირვების უნარი მოეპოვება. მკვეთრი ფაბულა ეხერხება, მხოლოდ რ. გვეტაძის ქართული ვერ იყო დახვეწილი. „ლაშაური საღამოები" ამ მხრივ უსათუოდ დიდი ნაბიჯია წინ.

მომხსენებელს რომანის ნაკლად მიაჩნია ის გარემოება, რომ არა სჩანს ნაწარმოების მთავარი გმირი ქალის ინჟინერ [illegible] ზრდისა და დაწინაურების ნამდვილი პროცესი. ეს მოხდა იმიტომ, რომ ავტორმა ეპიკური სოციალური თემა აიღო და გადაწყვიტა ლირიკულად. ამ ნაწარმოებიდან ამის გამო გაბნეულია ეპიკური მასალა. მწერალმა ვერ გვიჩვენა საბჭოთა ხელისუფლების ის დახმარება, რომელიც, უდავოდ, სარგებლობდა ზრდისათვის ისეთ ქალს, როგორიც არის ინჟინერი ქალის გმირობა და გამძლეობა. შეცდომაა, რომ ...ორიენტირებულია ის პერსონაჟები, რომლებიც ... ქალი გადაიქცა მოწინავე საბჭოთა მოქალაქედ. მიუხედავად ამისა, „ლაშაური საღამოები" საყურადღებო ნაწარმოებია, რომელიც უდავოდ სჩანს მწერლის გაზრდილი ოსტატობა. რ. გვეტაძის შედეგებში და ხაზები სინათლე, სიმწვავე და სხვადასხვა შეხვედრები. მწერალს ეხერხება ფსიქოლოგიური და კარგადაც ხატავს მასალის ამბავს საინტერესოდ არის გაშლილი. ნაწარმოების გმირები: ყაფლანი, თეო, ცისანა, გვერძი, მარზა, ზეინაბი, მისი მამა, ნაცვალი ცოცხალი ადამიანები არიან, კარგად არის შესრულებული მათი პორტრეტები.

დასასრულ, მომხსენებელმა გაარჩია ორი ნოველა „მარზა" და „სკირგალი", რომელიც ამავე წიგნშია შეტანილი და შეარჩია მეტად საინტერესო.

— ორივე მოთხრობა ძლიერ შთამბეჭდავია ამიტომ, — აღნიშნა მ. ჯავახიშვილმა, — ეს გვარწმუნებს, რომ უწინდელი მინიატურების ავტორი თვალსაჩინოდ გაზრდილა.

დისკუსია „ლაშაური საღამოების" გარშემო ორ დღეს გაგრძელდა. კამათში გამოვიდნენ: ლ. ასათიანი, მ. პატარიძე, ლეო ქიაჩელი, კ. ბობოხიძე, ალ. გაწერელია, გრ. ცეცხლაძე, ი. ტატიშვილი, ბ. ჩიქოვანი, ბ. ჟღენტი, გ. წულუკიძე და სხვ.

გამოსული ამხანაგების უმრავლესობა დაეთანხმა მომხსენებლის აზრს, რომ „ლაშაური საღამოები" ვერ გვაძლევს სიღრმისეულ ჩვენი ცხოვრების ტიპიურ სურათებს, მწერალი გაიტაცა სოფლური ყოფის ეთნოგრაფიულმა დახასიათებამ, საინტერესო, არაჩვეულებრივი ამბების მოყოლამ. რ. გვეტაძე ამ ნაწარმოებში „თეთრსა" და „ჰიპოკრიტისაგან" განსხვავებით უფრო მეტად ემყარება მწერლის ფანტაზიას, ვიდრე რეალურ სინამდვილეს.

ხალხური შემოქმედების საღამო

სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული რუსთაველის სახელობის ლიტერატურის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტმა ა. წ. 19 დეკემბერს უნივერსიტეტის კლუბში მოაწყო ქართული ხალხური შემოქმედების დიდი საღამო. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა რუსთაველის ინსტიტუტის დირექტორმა პროფ. ა. [illegible].

მოხსენება თემაზე „სტალინი ქართულ ფოლკლორში" გააკეთა ინსტიტუტის ფოლკლორის სექციის გამგემ ამხ. მიხ. ჩიქოვანმა.

ამხ. ჯანელიძემ ილაპარაკა „კლასობრივ ბრძოლაზე ხალხურ შემოქმედებაში". სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე [illegible] ხელაძე და პოეტი ტ. ტაბიძე, რომელთაც ხაზი გაუსვეს ხალხური შემოქმედების მეცნიერული შესწავლის დიდ მნიშვნელობას. სტუდენტმა ან. თევზაძემ წაიკითხა ხალხური ლექსი.

საღამოს მეორე განყოფილებაში ხალხური შემოქმედების ნიმუშები წაიკითხეს რესპუბლიკის სახალხო არტისტმა, ორდენოსანმა ც. დავითაშვილმა, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა, ორდენოსანმა აკაკი ხორავამ ისეთი მძლავრი პათოსით წაიკითხა ზემოაღნიშნული თემის გ. ქადაგიძის ლექსი „სტალინ", რომ დარბაზში დიდხანს არ დაცხრებოდა მქუხარე ტაში ამხანაგი სტალინის პატივსაცემად. შემდეგ გამოვიდნენ ორდენოსანი რუსთაველის სახ. თეატრის მსახიობი ჯავახიშვილი, რომელმაც ფანდურზე იმღერა, და საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი აკაკი ვასაძე, რომელსაც დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

საღამოს მესამე განყოფილებაში ქალთა გუნდმა ა. მეგრელიძის ხელმძღვანელობით შეასრულა ქართული ხალხური სიმღერები. დასასრულ თბილისის [illegible] სიმღერა. ამ სიმღერას დამსწრენი ხანგრძლივი ოვაციებით შეხვდნენ. საღამომ, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო, კარგად ჩაიარა.

დ. ფანჩულიძე

◇

ხელოვნება

„ქეთო და კოტეს" ახალი დადგმა

22 დეკემბერს ოპერის თეატრში პირველად ამ სეზონში მიდის ვ. დოლიძის კომიკური ოპერა „ქეთო და კოტე". დადგმა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის რეჟისორ ა. პატარიძისა, მხატვარი — ლ. გუდიაშვილი, დირიჟორი — შ. აზმაიფარაშვილი.

მთავარი პარტიებისათვის გამოყოფილია შემსრულებელთა რამდენიმე შემადგენლობა: ქეთოს პარტიას მღერიან — მ. ნაკაშიძე, ნ. ხარაძე და გ. ხავერაშვილი; კოტესი — მ. ყვარელაშვილი და შ. ქუთათელაძე; ლევანისა — დ. გამრეკელი და შ. ცინცაძე, მაკარისა — ლ. [illegible] და გ. [illegible], ხოლო [illegible] — ბ. [illegible] და ო. [illegible], ბაბალეს — ნ. ცომაია და მ. სეხნიაშვილი, სიკოს — ლ. [illegible] და ი. ქურხული, სიკუს — ზ. [illegible] და ნ. [illegible], ბოქაულისა — [illegible], მიხეილა — [illegible].

ცეკვა დადგმულია ა. სუხიშვილის მიერ.

ვინ არღვევს კანონს?

მიუხედავად არსებული კანონისა, რომ მუშა-მოსამსახურეებისაგან ხელფასის ანარიცხები წარმოება-დაწესებულებებმა ხელფასის გაცემისას გადაურიცხონ შემნახველ სალაროებს, ზოგიერთი ორგანიზაციები ამ ანარიცხებს თავის წარმოებაში ხმარობენ. საქართველოს შემნახველი სალაროების სამმართველომ ამ დღეებში პასუხისგებაში მისცა მთელი რიგი დაწესებულებების ხელმძღვანელები, რომლებსაც განზრახ არ შეჰქონდათ ხელფასის ანარიცხები.

პასუხისგებაში მიცემული არიან ბეტონის ქარხნის, ოტელ „მოვის", ავტოტრესტის მეორე გარაჟის, ბინათკავშირის საწყობის, წყალკანალტრესტის სახელოსნოს, მესამე რიგის სანაპირო ქუჩის მშენებლობის, რადიო-კომიტეტისა და თბილისის ავტოტრანსის ხელმძღვანელები.

გიბრალტარის ფაშისტ პირატებთან

(ბათუმი, „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან)

თბომავალ „დნეპროსტროის" კაპიტანის კაიუტაში ვსხედვართ და ვესაუბრებით კაპიტანის პოლიტიკურ თანაშემწეს ამხ. სკორინკოს. გვაინტერესებს გავიგოთ, თუ როგორ შეხვდნენ საბჭოთა გემის ეკიპაჟს ფაშისტ პირატები გიბრალტარის სრუტეში.

— გერმანელთა ზღვაში ჩვენს გემს მოუხდა ყოფნა დიდ ღელვის დროს, რომელიც გმირულად დავძლიეთ და გიბრალტარის სრუტეს მშვიდობიანად მივადექით, — დაიწყო ამხ. სკორინკომ. მშვენიერი დილა იყო. მზის სხივები ეთამაშებოდნენ ზღვის ზედაპირს და მარჯვნივ კედლივით აყუდებულ გიბრალტარის ციცაბო კლდეებს. მარცხნივ მოსჩანდა აფრიკის სანაპიროები — ესპანეთის მაროკო.

მე და კაპიტანმა უცბად მოვკარით თვალი ორ სამხედრო გემს, გავხედეთ ბინოკლით და ჩვენ წინ აფრიალდა ბილწი ფაშისტური ნიშანი.

ვატყობდით, რომ სამხედრო გემებმა გეზი ჩვენსკენ აიღეს, მაგრამ არავითარ ნიშანს არ გვაძლევდნენ.

ერთი სამხედრო გემი მეტად მცირე მანძილზე მოგვიახლოვდა და მოგვცა სიგნალი: „გაჩერდით". ამ წამსვე ჩვენი გემის ბორტს ზარბაზნები მოუღერეს, ერთი კაპიტანის ბოგს უმიზნებდა, მეორე კი გემის შუა ნაწილს.

დავდექით. წამსვე ჩვენს გემს პატარა ნავი მოუახლოვდა და 25 შეიარაღებული ჯარისკაცი ამოვიდა გემზე.

ოთხი ოფიცერი მოგვიახლოვდა. ისინი ძალიან ჰგვანდნენ მეფის დროის ჟანდარმებსა და ბოქაულებს. ერთ ჯარისკაცს ხელში ეჭირა ურო და მარწუხი, ალბათ, ფიქრობდნენ, რომ ზოგი კარის გატეხვა დასჭირდებოდათ.

ჩვენმა კაპიტანმა ამხ. ერშოვმა აჩვენა ავაზაკებს საზღვაო საბუთები, უთხრა, რომ ეს გემი საბჭოთა სავაჭრო გემია, ვეზიდებით ნავთის პროდუქტებს და რა უფლება გაქვთ გაგვაჩეროთო.

— ჩვენ გვაქვს ცნობები, რომ საბჭოთა კავშირის გემები მოეზიდებიან ტანკებს და თვითმფრინავებს ესპანეთის რესპუბლიკელთა დასახმარებლად, — რუსულ ენაზე მოგვმართა ოფიცერმა, რითაც ჩვენ დავრწმუნდით, რომ ისინი რუსი თეთრგვარდიელები იყვნენ და ტყუილად არ მიეგვანებოდნენ ჟანდარმებისათვის.

კაპიტანის პროტესტმა არ გასჭრა. დაიწყეს გემის გაჩხრეკა, არ დატოვებიათ უნახავი ეკიპაჟის თვითეული მეზღვაურის ჩემოდანიც კი და სანაგვე ფუთები, ყველაფერი დაათვალიერეს, თითონ ბრაზობდნენ ეს ავაზაკები, რომ საბჭოთა სავაჭრო გემზე „დნეპროსტროიზე" სამხედრო იარაღისა და ბარგის ნასახიც ვერ აღმოაჩინეს.

როდესაც ოფიცრები ძირს ეშვებოდნენ, განრისხებული იგინებოდნენ რუსულ ენაზე. ჩასხდნენ თავიანთ ნავში და გვაცნობეს: — „შეგიძლიათ გააგრძელოთ გზა დანიშნულებისამებრ"...

მანქანა ამოძრავდა და ისევ მთელი სისწრაფით განვაგრძეთ გზა, — დაასრულა საუბარი ამხ. სკორინკომ.

ჩვენი საუბარი მიმდინარეობდა შავი ზღვის საბჭოთა სანაპიროზე, როცა გემი „დნეპროსტროი", სამოცდა კილომეტრით დაშორებული, რეიდზე იდგა და ნავთის პროდუქტების მიღებას ელოდებოდა.

უკვე ბინდდებოდა, როცა „დნეპროსტროი" დავტოვეთ და მოტორიანი ნავით ბათუმის სავაჭრო ნავსადგურზე გადმოვედით. კრიალა ზღვაზე ვარსკვლავები ლივლივებდნენ, აშკარად მოჩანდა საბჭოთა სავაჭრო გემების სილუეტები, რომელთა ქიმებზე ანთებდნენ წითელი ვარსკვლავები. ნელა საბჭოთა დროშები — ნაზად ფრიალებდა.

შ. ფურცხვანიძე

გემი „დნეპროსტროი" რეიდზე ბათუმის ნავსადგურში.

ფოტო — ფ. იმედაძისა

ჭადრაკი

ებრალიძე — ლისიცინის მატჩი

19 დეკემბერი ღირსშესანიშნავ თარიღად დარჩება თბილისის მოჭადრაკეთა შემოქმედებითი მუშაობის ისტორიაში. ამ დღეს მოხდა ორი მნიშვნელოვანი მოვლენა: გაიხსნა თბილისის საჭადრაკო კლუბი და დაიწყო ჩვენი ახალგაზრდა მოჭადრაკის არჩილ ებრალიძის მატჩი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ გამოჩენილ ლენინგრადელ მაესტრო ლისიცინთან.

საჭადრაკო კლუბის გახსნას და მატჩის დაწყებას დიდძალი საზოგადოება დაესწრო. საჭადრაკო კლუბის გახსნისას სიტყვა წარმოთქვა საქართველოს ფიზკულტურული მოძრაობის ხელმძღვანელმა, ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ს. მილშტეინმა. საქართველოში საჭადრაკო მოძრაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ა. პეტროსიანმა. შემდეგ მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს მოჭადრაკეებმა ქიქოძემ, გერშკოვიჩმა და აბრამიანმა.

კლუბის გახსნის გამო თბილისელ მოჭადრაკეთა კრებამ მისასალმებელი წერილი გაუგზავნა ამხ. ლავრენტი ბერიას და საქ. კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანს ამხ. გ. არუთინოვს. მისასალმებელი დეპეშა გაეგზავნა აგრეთვე მაესტრო გ. გოგლიძეს.

კლუბის გახსნის შემდეგ მოხდა ებრალიძე—ლისიცინის მატჩის საზეიმო გახსნა. გამოაცხადეს მატჩის პირობები: ებრალიძემ და ლისიცინმა უნდა ითამაშონ 16 პარტია. ებრალიძეს მატჩი მოგებულად ჩაეთვლება მაშინ, თუ მოიგებს ორი ქულით მეტს.

მატჩის მთავარ არბიტრად არჩეულია ამხ. [illegible]. ებრალიძის სეკუნდანტად გამოყოფილია თბილისელი მოჭადრაკე ამხ. ა. აბრამიანი. ლისიცინის სეკუნდანტს დღეს მოელიან თბილისში.

○

მოჭადრაკე არჩილ ებრალიძემ თავისი და ლისიცინის მატჩის შესახებ ჩვენს თანამშრომელს განუცხადა:

— კარგად მესმის ჩემი პასუხისმგებლობა ამ მატჩში. ჩემი წინააღმდეგი არის ერთ-ერთი ძლიერი და გამოცდილი მაესტრო, რომელიც განთქმულია დიდი თეორიული და გამომგონებლური თამაშით. ლისიცინი ითვლება საბჭოთა კავშირში დებიუტის საუკეთესო მცოდნედ. მას ხშირად შეაქვს ახალი და მოულოდნელი სვლები, რითაც ხშირად იწვევს მოწინააღმდეგის დეზორგანიზაციას.

მიუხედავად იმისა, რომ ჩემს წინააღმდეგ გამოდის ასეთი ძლიერი მოჭადრაკე, მე მაინც ოპტიმისტურად ვუყურებ ჩემს მომავალ ბრძოლას და მგონია მივაღწევ სასურველ შედეგს. თავს ძალიან კარგად ვგრძნობ, როგორც იტყვიან, „ფორმაში" ვარ, და იმედიანად ვიწყებ მატჩს. აქვე მინდა განსაკუთრებული მადლობით აღვნიშნო ის მზრუნველობა, რომელსაც იჩენს ჩემს მიმართ ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტი და განსაკუთრებით ამხ. ს. მილშტეინი.

აფერისტები

გიორგი მიხეილის-ძე ჯაფარიძე — „ზესტრონის" საბჭოთა მეურნეობის ყოფ. აგენტი მომარაგებისა — მიმდინარე წლის ივლისში გამოცხადდა თბილმრეწვაჭრობის გამგეობაში და წინადადება შეიტანა ხელშეკრულება დაედოთ მასთან სავაჭრო წერტილის გახსნის შესახებ „ზესტრონის" (დიღომი) საბჭოთა მეურნეობაში. თბილმრეწვაჭრობის გამგეობამ არ შეამოწმა მისი წარმოდგენილი „საბუთები" და დადო ჯაფარიძესთან ხელშეკრულება, რომელიც უფლებას აძლევდა მას მიეღო ახლად გასახსნელი მაღაზიისათვის 45 ათასი მანეთის საქონელი. ჯაფარიძემ „დამხმარეებად" აიყვანა თავისი ძმაკაცები გ. რ. რუხაძე და ს. ს. [illegible], „მაღაზიის გამგედ" კი [illegible] ა. ზ. კოკურიშვილი.

აფერისტებმა შეცდომაში შეიყვანეს „ზესტრონის" საბჭოთა მეურნეობის გამგეობა, გახსნეს იქ სავაჭრო წერტილი და თბილმრეწვაჭრობიდან ინვოისით მიიღეს 34 ათასი მანეთის საქონელი. აფერისტებმა საქონელი გამოიყენეს საკუთარი მომარაგებისათვის. ორი თვის განმავლობაში მათ თბილმრეწვაჭრობის სალაროში შეიტანეს მხოლოდ 3 ათასი მანეთი, 20 ათასი მანეთი კი მიითვისეს.

აფერისტები შეუთანხმდნენ თბილისის № 1 პურის ქარხნის ექსპედიტორებს ი. შალიშვილს, შ. რუხაძეს და ს. კიკნაძეს, რომლებისაგანაც ყოველდღიურად იღებდნენ 600 კილო გამომცხვარ პურს; ამ პურს ყიდდნენ, ფულს იყოფდნენ. ამ გზით ჯაფარიძემ და მისი ბანდის მონაწილეებმა № 1 პურის ქარხნიდან მიიღეს 10.600 კილო პური.

როგორც გამოირკვა, პურის ქარხანაში მოქმედებდა მოპარულ-მომხმარებელთა ბანდა, რომლის მონაწილენი — ექსპედიტორები შალიშვილი, რუხაძე და კიკნაძე უფროსი ექსპედიტორის ტ. შ. ჩიხლაძის დახმარებით სისტემატიურად ითვისებდნენ გამომცხვარ პურს. აფერისტებმა ნაქურდალი გაყიდეს 28 ათასი კილო პური.

აფერისტთა ორივე ჯგუფის მოღვაწეობა შეისწავლა სისხლის სამართლის პოლიციამ.

მოკლე ხნის განმავლობაში ორივე ბანდამ სახელმწიფოს მიაყენა 50 ათასი მანეთის ზარალი.

გამოძიება დამთავრებულია და მათი საქმე პროკურორს გადაეცა.

◇

კრებები

თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტი დღეს, საღამოს 8 საათისათვის იწვევს თითოეული წერა-კითხვის სწავლების მეთოდების მეხანიზმს.

საქართველოს მუზეუმის სალექციო დარბაზში დღეს, საღამოს 8 საათზე პროფ. ა. [illegible] წაიკითხავს ლექციას თემაზე — „სოციალისტური მშენებლობის [illegible] და [illegible] გზები". შესვლა თავისუფალია.

ახალი ამბები

საქ. გეოგრაფიული საზ.-ბის გამოცემით გამოსაცემად ამზადებს პირველი ქართველი მეცნიერ-გეოგრაფის ვახუშტის გეოგრაფიის აკადემიურ გამოცემას. წიგნში მოთავსებული იქნება ვახუშტის ვრცელი ბიოგრაფია.

საქ. საჯარო ბიბლიოთეკის საცნობო-საბიბლიოგრაფიო განყოფილება პერიოდული გამოცემების, წიგნებისა და სხვა მასალებზე დაყრდნობით ამზადებს სრულ ბიბლიოგრაფიას საქართველოს კინემატოგრაფიის ისტორიისათვის. წიგნს გამოსცემს რუსთაველის კინო-გამომცემლობა.

თბილისის განათლების მუშაკთა სახლის გამგეობამ მასწავლებლებისათვის გახსნა უცხო ენების შემსწავლელი წრეები. მეცადინეობა უფასოა.

თბილისის ავეჯის ფაბრიკამ ვადაზე ადრე შეასრულა წლიური გეგმა. 15 დეკემბრისათვის გამოშვებულია 1.644.000 მანეთის ავეჯი — წლიური გეგმის 100,2 პროცენტი. ფაბრიკის კოლექტივმა იკისრა წლის დამლევამდე გამოუშვას კიდევ 105.000 მანეთის ავეჯი.

თბილისის ჯანმრთელობის განყოფილება შეუდგა კომისის ტბის ტალახის გამოყენებას სამკურნალო მიზნებისათვის. ტალახი საუცხოო შედეგებს იძლევა სახსრების რევმატიულ დაავადებათა და ქალის სნეულებათა მკურნალობის დროს.

◇

შემთხვევები

ყალთაბანდობა. „გასტრონომის" მაღაზიაში (ტირიფის ქუჩა № 2) ყალთაბანდობისათვის შეიპყრეს ბ. მ. ავაქოვი ([illegible] ქუჩა № 7). მან წინადადება მისცა მოქ. მ. მოშიაშვილს იყიდა მისგან რამდენიმე მეტრი ტილო. რადგან ავაქოვის მიერ დასახელებული ფასი შედარებით მცირე იყო, მოშიაშვილი დასთანხმდა. ავაქოვმა მიიღო ფული, გადასცა მოშიაშვილს ქაღალდის შეკვრა და დაავალა მიმალვა. მოშიაშვილმა გახსნა შეკვრა და შიგ ძონძები აღმოჩნდა. როგორც გამოირკვა, ავაქოვმა ტილო შეუცვალა მყიდველს ქაღალდში შეხვეული ძონძებით. ავაქოვი წინათაც ყოფილა მიცემული პასუხისგებაში ასეთივე ყალთაბანდობისათვის. მისი საქმე სასამართლოს გადაეცა.

◇

პარტკალენდარი

ლადო კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტთა და აგიტატორთა სახლში

დღეს მეცადინეობა ხვარბობის აგიტატორთა კურსებზე (ყველა ჯგუფი). დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ს. ა. დ. ქ. კ. კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე — „ამხანაგი სტალინი ს. ს. რ. კ. ახალი კონსტიტუციის პროექტის შესახებ". დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ლენინის ორდენოსანი რუსთაველის თეატრი

21-XII	არსენა
22 XII	შემოდგომის აზნაურები

მარჯანიშვილის სახ. თეატრი

21-XII დღ. № 62	ცხვრის წყარო
22 XII დღ. № 63	ნინოშვილის გურია

დღეს სახკინმრეწვის თეატრებში

[illegible] 5, 7 40 9 20, 11 — ახალი ხმოვანი [illegible]

[illegible] 6 20, 8, 9 40, 11-20 — [illegible]

[illegible] 6 30, 8-30, 10-3 — [illegible]

[illegible] 6-10, 8, 9 30, 11 — კარლ ბრუნერი

[illegible] 6 30, 8-30 10 30 — [illegible]

[illegible] 6 30, 8 30, 10 30 — [illegible]

დღეს, 21 დეკემბერს განახლებული ი მრავალფეროვანი პროგრამა
სახცირკი
21/XII დღის 2 საათზე [illegible]
[illegible] ზ. ზ. ზაბალაძე
ტელეფონი 3 51-12.
5—3 194

გაზეთი
„ლიტერატურული საქართველო"
მიიღება ხელისმოწერა 1937 წლისათვის.
გაზეთი ღირს წლიურად — 10 მან. 80 კაპ.
6 თვით — 5 მან. 40 კაპ.
3 თვით — 2 მან. 70 კაპ.
1 თვით — 90 კაპ.
გაზეთის ცალკე ნომრის ფასი 30 კაპ.
გაზეთი გამოდის ყოველ ათ დღეში.
ხელისმოწერა მიიღება „სოიუზპეჩატის" და ფოსტის ყველა პუნქტსა და განყოფილებაში. აგრეთვე [illegible] რწმუნებულებთან.
100 4-4

მიიღეთ ხელის მოწერა ჟურნალ-გაზეთებზე 1937 წლისათვის

ხელისმოწერის პირობები გაზეთებსა და ჟურნალებზე:

გაზეთები

„კომუნისტი"
ყოველდღიური
1 თვით 2 მ. 50 კ. 3 თვით 7 მ. 50 კ. 6 თვით 15 მ. 12 თვით 30 მ.

„ახალგაზრდა კომუნისტი"
ყოველდღიური.
1 თვით 2 მ. 50 კ. 6 თვით 15 მ.
3 თვით 7 მ. 50 კ. 12 თვით 30 მ.

„ნორჩი ლენინელი"
სამ დღეში ერთხელ.
1 თვით 25 კაპ. 6 თვით 1 მ. 50 კ.
3 თვით 75 კაპ. 12 თვით 3 მ.

ჟურნალები

„ბოლშევიკი"
თვეში ერთხელ.
1 თვით 50 კაპ. 6 თვით 3 მ.
3 თვით 1 მ. 50 კ. 12 თვით 6 მ.

„პარტიული მშენებლობა"
თვეში ორჯერ.
1 თვით 1 მან. 6 თვით 6 მ.
3 თვით 3 მან. 12 თვით 12 მ.

„ახალგაზრდა ბოლშევიკი"
თვეში ორჯერ.
1 თვით 50 კაპ. 6 თვით 3 მ.
3 თვით 1 მ. 50 კ. 12 თვით 6 მ.

„მშრომელი ქალი"
თვეში ორჯერ.
1 თვით 40 კაპ. 6 თვ. 2 მ 40 კ.
3 თვით 1 მ. 20 კ. 12 თვ. 4 მ. 80 კ.

„პიონერი"
თვეში ერთხელ.
1 თვით 50 კ. 6 თვით 3 მ.
3 თვით 1 მ. 50 კ. 12 თვით 6 მ.

„ოქტომბრელი"
თვეში ერთხელ.
1 თვით 50 კ. 6 თვით 3 მ.
3 თვით 1 მ. 50 კ. 12 თვით 6 მ.

ხელის-მოწერა უნდა ჩააბაროთ:
„სოიუზპეჩატს", ფოსტის განყოფილებებს, ხელისმომწერთა შემკრებთ საწარმოებსა და დაწესებულებებში და პოლიტგანყოფილებათა გამომცემლობებს.
საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობა „კომუნისტი".

სრულიად საქართველოს სარეწაო კავშირის სისტემის ძნელაძის სახ. არტელის დასკვნითი ბალანსი

აქტივი — 1936 წ. 1 ლი იანვრისათვის — პასივი

№№ რიგ.	მუხლების დასახელება	თანხა	№№ რიგ.	მუხლების დასახელება	თანხა
1	ძირითადი საშუალებანი	44.425-19	1	ფონდები	83.681-84
2	საწარმოო მარაგები	56.317-89	2	მიზნობრივი რესურსები	11.767-60
3	ფულადი საშუალებანი	68-28	3	მოვალეობის ლი მუხლები	5.191-5
4	საშუალებები ანგარიშსწორებებზე	28.400-36	4	გრძელვადიანი კრედიტები	24.984-68
5	მომავალი დროის ხარჯები	11.898-95	5	მოკლე ვადიანი კრედიტები	4.581-54
6	განყენებული საშუალებანი	14.811-45	6	ანგარიშსწორებანი	50.108-17
			7	დაგროვებანი	19.849-89
	ბალანსი	155.712-17		ბალანსი	155.712-17

არტელის თავმჯდომარე აბგაროვი.

მთავ. ბუღალტერი არაბიანი.

დ. ტკიცებულია სარეწაო ავშირის საბალანსო კომის-ის მიერ.

1651

სრულიად საქართველოს „სარეწაო კავშირის" სისტემის ა/ ზ. ე. „აფშენის" დასკვნითი ბალანსი

აქტივი — 1936 წ. 1 იანვრისათვის — პასივი

№№ რიგზე	მუხლების დასახელება	თანხა	№№ რიგზე	მუხლების დასახელება	თანხა
1	ძირითადი საშუალებანი	459-65	1	ფონდები	4.300-50
2	ფულადი საშუალებანი	10.416-93	2	ანგარიშსწორებანი	162.370-29
3	საშუალებები ანგარიშ. წორებებში	161.229-70	3	დაგროვებანი	8.393-67
4	განყენებული საშუალებანი	2.963-18			
	ბალანსი	175.069-46		ბალანსი	175.069-46

არტელის თავმჯდომარე: ბერ ია.

მთავ. ბუღალტერი შ. ნ-ე რ ძე.

დ მტკიცებულია „სარეწაო კავშირის" საბალანსო კომისიის მიერ.

1635

მისამართები: რედაქციის — თბილისი, სამეურნეო 3-73 40. გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილეების: 3-63-03 და 3-08-67. სამდივნოს: 3-06-88. განყოფილებ. [illegible] — 3 57 61. [illegible] № 16 მუშრომელთა წერილების 3-73-24, ღამის რედაქტორის 3-26-67, გამომცემლობის 3-31-81, სტამბის დირექტორის — 3-27-04. ხელნაწერებს ავტორებს არ უბრუნებთ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", კაპის ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული ზ — 887